სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 27 ივლისი 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 157 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 157

საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საბჭოს წევრთ რომ კვირას 28 ივლისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის საბჭოს წევრის

ვლადიმერ გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. (2—1)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია და საოლქო კომიტეტი აუწყებს ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 28 ივლისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის

ვლადიმერ გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. (4—3)

ქვე კოლექტივი თფილისის რკინ. გზის დეპოს ს. დ. მ. პ. აცნობებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ კვირას 28 ივლისს გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფელ ლამის ყანაში ვერაგულად მოკლული ბრბოს მიერ ამხანაგ

საშა რიკაძის (იგივე ქრისტეს ბეენაშვილის)

(2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ელპიტე გიორგის ასული; ძმები ამბაკო და ბეგლარ მიხეილის ძენი ქართველიშვილები, რძლები თეო და ივდითი, ძმის შვილები შუშანიკა, ელენა, თამარა და მიშა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალექსი მიხეილის ძის ქართველიშვილისას

რომელიც მოხდა აგარაკ წაღვერში. დაკრძალვა მოხდება ქალაქ სამტრედიაში, კვირას 28 ივლისს. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ნაშუადღევის 4 საათზე. (2—1)

მეორე ქართული კლუბი

„ახალი საკრებულო", მიხეილის პროსპ. № 129. კვირას, 28 ივლისს, გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

ფრიად საინტერესო პროგრამით. სამხედრო მუსიკა საზანდარი, ლეკური, უზუნდარა, ევროპიული ცეკვა, **სინემატოგრაფი, ქართული წარმოდგენა**, პტიშვო, ტუმბა და სხვადასხვა სათამაშოები და გასართობები, როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვებისათვის. 10 პროცენტი წმინდა შემოსავლისა გადაიდება ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოთ.

დასაწყისი საღ. 5 ს. ახალ დროით. (2—1)

კვირას, 28 ივლისს, რევოლიუციის მოედანზე ნაძალადევში გაიმართება სადღესასწაულო საღამო პირველი რაიონის

მუშათა კლუბისა

პროგრამა: —1) ლექცია: რუსულად და ქართულად წაიკითხვენ მანშენზონი და თალაკვაძე.—2) მოხსენება კულტურულ განმანათლებელი კომისიისა.—3) მილოცვები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან.—4) სინემატოგრაფი. ანტრაქტების დროს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. — შესასვლელი ფასი 1 მან. (2—1)

საქართველოს რესპუბ. სახ. განათლების სამინისტრო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილების თანახმად საქართველოში სკოლის გაეროვნულების განსახორციელებლად ქ. თფილისში საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის დროებითი კურსები იხსნება რომელნიც 1 აგვისტოს დაიწყება და თვე ნახევარს გასტანს. წაკითხული იქნება ლექციები: ფსიხოლოგიიდან და პედაგოგიკიდან, საზოგადო და ქართულ ენათმეტყველებიდან, ქართულ ძველ და ახალ მწერლობის ისტორიიდან, სამათემატიკო საგნებიდან, ფიზიკიდან, ბუნების-მეტყველებიდან, სამათემატიკო და საზოგადო გეოგრაფიიდან.

მსმენელებად იქნებიან საშუალო სასწავლებლების ქართველი მასწავლებელნი, როგორც სასწავლებლის გამგეობათა მიერ ჩეულნი, ისევე პირადათ მსურველნი. პირველი ჯგუფის ყველა მსმენელს (თფილისში მცხოვრებთ გარდა) საგზაო ხარჯი, ბინა და საჭმელ-სასმელი მიეცემა. მეორე ჯგუფის მსმენელებმა თხოვნა უნდა შემოიტანონ და შეძლებისამებრ მათაც დახმარება აღმოეჩინება.

კურსებზე გამოწვეულთა რიცხვის რაოდენობას თვითოეული სასწავლებლის გამგეობა სახალხო განათლების სამინისტროს საგანგებო დეპეშებიდან შეიტყობს, რომელსაც თვითოეული მათგანი მიიღებს. ყოველი სასწავლებლის გამგეობა მოვალეა დაუყონებლივ აირჩიოს მასწავლებელნი, რომელნიც ზემო-ხსენებულ კურსებზე სახელმწიფო ხარჯზე იქნებიან. თუ ვინიცობაა გამგეობის აზრით სამინისტროსაგან განსაზღვრული რიცხვზე მეტ მასწავლებელთა გამოგზავნა არის საჭირო, გამგეობას უფლება აქვს ასეთი პირნიც დაასახელოს და სამინისტროს აცნობოს.

მსმენელები ივლისის 29 ს უკვე თბილისში უნდა იყვენ ჩამოსულნი, რადგან ლექციები სწორეთ მარიამობისთვის 1 ს დაიწყება. ყველა ცნობები და თხოვნები კურსების შესახებ სახალხო განათლების სამინისტროს სამდივანმწიგნობრობაში (კანცელარიაში) უნდა იყოს გამოგზავნილი (პეტრე დიდის ქუჩა № 8) (1—1)

ვერის სამოქალაქო პარკი

(სატიოზედ, მტკვრის პირას)

კვირას, 28 მკათათვეს 1918 წ. ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ გაიმართება მ. პავსაძის ლოტბარობით **დიდი სახალხო**

სეირნობა-კონცერტი

სხვადასხვა გასართობებით: საბავშო სიმღერები, სათამაშოები, ბურთაობა, ღიღოფალა და სხვა. ფანდური, თარი, მესტვირე და ბოლოს ქართულ-კახური სიმღერები: ურმული, ზამთარი, კახური, ფერხული, ცანგალა და რაჭული სიმღერები.

დასაწყისი ბავშვებისათვის 5 საათიდან, მოზრდილთათვის 7 საათიდან.

გუნდი იქნება გამოწყობილი გლეხურად. გამგე ნიკო კავსაძე. (2—1)

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

ამ დღეებში აღვნიშნეთ, რომ დემოკრატია და განსაკუთრებით სოციალდემოკრატია ყოველთვის იზრუნებს კეთილგანწყობილება იქონიოს მეზობელ სახელმწიფოებთან და ერებთან და კიდევ მეტსაც, შეეცდება პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი კავშირით შეკრას მათ, ფედერაციის ან კონფედერაციის სახით.

რასაკვირველია, ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა ინტერესების სოლიდარობას რამდენიმეთ მაინც. ასეთი სოლიდარობა კი შეუძლია არა ზედა კლასებს—ნაციონალისტებს, რომელნიც ერთმანეთს ტკბილი სიტყვით ეგებებიან, და ზურგს უკან კი მახვილს უმზადებენ გულში ჩასაცემათ, არამედ დემოკრატიას, რომელსაც აქვს მხოლოდ საერთო ინტერესი ყველა გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ და არაფერი აქვს სადაო ერთმანეთში.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ადერბეიჯანში და არც სომხეთის რესპუბლიკაში დღე-დღეობით დემოკრატიის ხმასა და ინტერესებს არა აქვს გასავალი.

მათ მაგიერ იქ სათავეში მოქცეულან თათრის მუსავატისტები, ბეგები და მსხვილი მრეწველების უმნიშვნელო ჯგუფი, რომელიც სარგებლობს ხალხის უგნურებით, უცოდინარობით და ორკეც ტყავს აძრობს დაბეჩავებულ ხალხს.

სომხეთში ნაციონალისტები დაშნაკციუთუნის პარტიის სახით დემოკრატიულ სამოსელში გახვეულნი, გულით და სულით კი ბურჟუაზიის ერთგული მოყმენი უძღვებიან ქვეყნის საქმეს.

ამიტომ არაა გასაკვირველი, რომ ადერბეიჯანის „რესპუბლიკა" აგრარულ კანონს, ამ ერთათ ერთ კანონს, რომელიც იცავს ხალხს და მის ინტერესებს, გაუქმებულათ აცხადებს „დამფუძნებელ" კრებამდე, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ, როდინობის კვირაში იქნება მოწვეული, არც ადრე, არც გვიან.

სომხის ნაციონალური საბჭო რას ფიქრობს ამის შესახებ, არ ვიცით. ეს უკანასკნელი უფრო „ჭკვიანი" ხალხია. ერთი აკეთებს, მეორე ლაპარაკობს, ძმობას გეფიცება—სამარეს გიმზადებს. ვიცით, რომ რეფორმას იქ წინ გადაეღობება სურვილი ეკლესიის, რომელიც მამულების დიდი ნაწილის ბატონ-პატრონია, და რომელიც აქამომდე სულიერათ იმონებს სომხის დემოკრატიას.

დაშნაკციუთუნს, რომელიც თავის მოღვაწეობაში, ერთიანად ეყრდნობა ეკლესიის ორგანიზაციას ხალხის დამორჩილების საქმეში, არ შეუძლია თავის მოკავშირეს ქონებრივათ ხელი შეახოს და ნიადაგი გამოაცალოს.

ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ საგლეხო რეფორმას იქ ადგილი ექნეს.

დემოკრატია სომხისა თავის უმრავლესობაში ჯერ კიდევ ვერ გამკლავებია სათანადოთ შოვინისტ-კლერიკალების მომხიბველ გავლენას.

ამიტომაა, რომ ყველა ქვეყნის ნაციონალისტ-შოვინისტები, ძველი რუსეთის ჩინოვნიკები, ნიკოლოზის ყოფილი ერთგული მსახურნი და მისი ტახტის აღდგენაზე მლოცველები, სომეხ თათრების მთავრობას ლმობიერის თვალით უცქერის.

ნათქვამია სული სულს იცნობსო. სომეხ-თათრების მთავრობებიც ერთმანეთს ეკურკურებიან, თუმცა სისხლის ნიაღვარი აქ ტკბილი მუსაიფით და „რეჩებით" ოდნავათაც არ შეჩერებულა.

ადერბეიჯანის ფარისეველნი ამბორს უყოფდენ აქსტაფაში სომხის ნაციონალისტებს. ნუხის და სხვა მაზრიდან, ე. ი. ადერბეიჯანის სამფლობელოდან, სომხების ლტოლვილები ათასობით და ათი ათასობით მოდიან საქართველოს საზღვრებში.

სომხის შოვინისტებს კი სადაოთ და საბრძოლველ საგნათ გაუხდიათ არა ისინი, ვინც ამ ხალხს ერეკება, არამედ ჩვენი დემოკრატია, რომელიც დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობის გამო შესაფერად ვერ ახერხებს მათი გაჭირვების შემსუბუქებას. ორივე რესპუბლიკა კი ერთად ილაშქრებს საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, იგიც, რომელიც სდევნის მეორეს და იგიც, რომელსაც სდევნის შოვინისტი, იმ შოვინისტებს უფრო უთანხმდება, რომელიც მას აწიოკებს, ვინემ დემოკრატიას.

და ასეთი მოღვაწენი კიდევ დღემდე ვერ გაუცვნია საკმარისათ ჩვენ მეზობელ ერების დემოკრატიას.

და აი ასეთი მდგომარეობა, ასეთი მტრობა ჩვენი დემოკრატიისადმი სადღეისოთ მაინც შეუძლებელს ხდის იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ყველა ერის დემოკრატიის სურვილს წარმოადგენს. დიდი შრომის და ენერგიის დახარჯვა დასჭირდება უმთავრესათ იმ მცირედ დემოკრატიულ პოლიტიკურ ჯგუფებს და წრეებს, რომელნიც ამ რესპუბლიკებში მოქმედებენ, რომ ნაციონალიზმის მოწამლული ისრის წვერი მოსტეხონ და ხალხი მათი გამაბრუებელი შოვინიზმისაგან გაანთავისუფლონ. დემოკრატია საქართველოს რესპუბლიკისა მუდამ თანა გრძნობით შეხვდება ამ წრეების მუშაობას და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მას, რითაც კი შეეძლება.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საერთო ძალებით ეს დემოკრატიული წრეები შესძლებენ იმის მიღწევას, რასაც ასე ანგრევენ და უთხრიან ძირს ყველა ნაციონალისტები.

ნაციონალისტური ბრძოლის გაჩაღებით ისინი ცდილობენ მუშათა და გლეხთა სოციალისტური მოთხოვნილებები უყურადღებოთ დასტოვონ. დღესდღეობით რამდენიმეთ მაინც აღწევენ კიდეც მიზანს. მაგრამ გაივლის ეს შოვინისტური ციებ-ცხელება,—შენელდება ატმოსფერო, დღეს რომ გავარვარებულია, და დემოკრატია კვლავ სოლიდარობის პრინციპს გახდის მთავარ სახელმძღვანელო პრინციპათ პრაქტიკულ მოქმედებაში.

ჩვენ ველით ამ დღეს და მისი მოახლოვებისთვის ვიზრუნებთ.

პრესა

ქართველ-მუსულმან ზუბრების რუსული გაზეთი „ვოზროჟდენიე" ცდილობს თავისებურათ გააშუქოს საქართველოს მთავრობის ნაბიჯი ზოგიერთ სამინისტროებში მოკავშირე სახელმწიფოთა ინსტრუქტორების მოწვევის შესახებ. გუშინდელ მოწინავე წერილში ვკითხულობთ:

„ინსტრუქტორების დანიშვნით, ბუნებრივათ ბოლო ეღება ყოველგვარ რევოლიუციურ ექსპერიმენტებს, რომელიც თავის დროზე ბათუმის სამარცხვინო დათმობით გათავდა და დღეს კი ხელს გვიშლის შიგნით წეს-რიგი აღვადგინოთ და ჩვენს მეზობლებთან დამოკიდებულება მოვაწესრიგოთ ი".

მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო—„ვოზროჟდენიე"-ს ზუბრებზეა ნათქვამი. ამ ვაჟბატონებს გონიათ, რომ უცხოელ ინსტრუქტორების მოწვევით ხორციელდება მათი სანატრელი ოცნება—ჩვენს შინაურ საქმეებში უცხოელების ჩარევა. ამას, „ვოზროჟდენიე" არც კი მალავს: სამი მთავარი სამინისტრო გადადის ცხოვრების ახალ ხანაში, დანარჩენები ჯერ დატოვებულა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სხვა სამინისტროებზედაც გავლენას იქონიებსო.

თავის მოღალატურ სულისკვეთებას „ვოზროჟდენიე" ხსნის სწორეთ ისე, როგორც „კავკაზსკი პოსტ" და „საქართველო" — რევოლიუციონურ ექსპერიმენტებით და დღეს მართველ სოციალისტურ პარტიების უვარგისობით. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი ხალხი ამ სოციალისტურ პარტიებს მისდევს დღეს და ვისაც სურვილი აქვს სოციალისტურ პარტიების განდევნის, მან უწინარეს ყოვლისა უნდა განდევნოს პოლიტიკურ ასპარეზიდან თვით ქართველი ხალხი. ეს კარგათ იციან „ვოზროჟდენიეს" ზუბრებმა და ამიტომ მოუმიზეზებიათ სოციალისტური ექსპერიმენტები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს მთავრობას არავითარ სოციალისტურ ექსპერიმენტებისთვის არ მიუმართავს, თუმცა ძალა-უფლება ხელთ ქონდა და როცა მოისურვებდა მაშინ დააკანონებდა თუნდაც სრულს სოციალისტურ წყობილებას: ასე უსინდისოთ იქცევა „ვოზროჟდენიე", როცა სწერს, ვითომ სოციალისტების ბრალი ყოფილიყოს ბათუმის დაცემა, თუმცა მან კარგათ იცის, რომ უმთავრესი ბრალი ამაში თვით ჩვენს თავადობას მიუძღვის და რომ სოციალისტურ მთავრობის პოლიტიკამ გადაარჩინა ქართველი ხალხი განადგურებას, რაც მან შესძლო გერმანია ავსტრიასთან დაკავშირებით.

დღეს ჩვენმა მთავრობამ ეროვნულ საბჭოს ნებართვით გადასწყვიტა მცოდნე კაცები მოიწვიოს სამ სამინისტროში სასურსათო, საფინანსო და სამხედროში. რა არის აქ არა ბუნებრივი? ვინ არ იცის, რომ სამ თვეში არ შეიძლება სახელმწიფოს აშენება? თვით გენიოსმა რუსეთის იმპერატორმა პეტრე დიდმა მიმართა უცხოელებს და ყველა საპასუხისმგებლო პოსტებზე უცხოელები დანიშნა. განა ეს სოციალისტობით მოუვიდა პეტრე დიდს? იქნებ „ვოზროჟდენიეს" გონია, რომ ნახევრათ ველური ჩვენი თავადები შესძლებენ ქვეყნის მოვლას? ჩვენი ფეოდალების სახელმწიფოებრივ ნიჭის და გამოცდილების ამბავი კარგათ მოეხსენებათ გერმანელებსაც, „ვოზროჟდენიე" ამათ ცდილობს მათ შეცდომაში შეყვანას.

კბილი გაუსინჯა ამ შავ გმირებს ქართველმა ხალხმაც და ამიტომ ის ზიზღით შეხვდება „ვოზროჟდენიეს" შემდეგ ლათაიებს: ქართველ ხალხის მართველ წრეებში გამსჭვალულნი არიან დამოუკიდებელ საქართველოს სიკეთის სურვილით და უარს ამბობენ თავიანთ პარტიულ პროგრამებზეო.

მოვაგონებთ „ვოზროჟდენიეს", რომ ჩვენ თავადები არა ვართ, რომ ჩინ-ორდენებზე გავყიდოთ საქართველოს დამოუკიდებლობა და არც ჩვენ პროგრამაზე ავიღებთ ხელს. პირიქით, ჩვენ სასტიკად ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა მტრების წინააღმდეგ. მათში „ვოზროჟდენიეს" ზუბრებსაც არ დავივიწყებთ.

* *

ინსტრუქტორების მოწვევის საკითხს ეხება აგრეთვე „ტრუდოვოე ზნამია", რომელიც გულმტკივნეულად დაასკვნის: ინსტრუქტორების მოწვევა იმპერიალისტურ ქვეყნის გავლენას გააძლიერებსო. ჩვენ ძალიან გვიკვირს: როგორ მოხდა, რომ „ზნამია", რომელიც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას ძირს უთხრის, ახლა შიშობს იმპერიალისტურ ქვეყნის გავლენა არ გაძლიერდესო. ცხადია „ზნამიას" ისე მოსდის როგორც ჰოტენტოტს, ის დასტირის რუსეთის იმპერიალიზმს. ამიტომ მკითხველი თითონ მიხვდება, თუ რა ფასი აქვს „ზნამიას" გოდებას, საქართველოს მთავრობა და ეროვნული საბჭო დემოკრატიულ პროგრამას ღალატობენ, თორემ გერმანიისთვის არ უნდა მიემართათო.

ომი და ზნეობა

ჩვენ კარგათ ვიცით ფასი, არსი და ღირსება თანამედროვე ბურჟუაზიული ზნეობისა. იგი მაინც და მაინც არსებითად არ განირჩევა ცნობილ აფრიკის ველურთა ზნეობისაგან, ამ უკანასკნელს იგი დასცილდა მხოლოდ იმით, რომ მოიკაზმა ლამაზ, ევროპიულ სამოსელში და გადიქცა ბურჟუაზიული სამყაროს ერთ-ერთ „მუდმივ ჭეშმარიტებად". ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დღეს ეს თავისი მორალი მიაჩნია უცვლელად, რადგანაც იგი, მისი აზრით, იდეალური განხორციელებაა სიმართლის, კულტურის და თანასწორობისა. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ თანამედროვე იმპერიალიზმის მორალის აზრს და შინაარსს. საერთოდ მორალი მუდამ კლასიურია, თუ შეიძლებოდა „ზეკლასიურ" ზნეობრივ მოძღვრებაზე ლაპარაკი იმ აზრით, რომ იგი მისაღები ყოფილიყოს ერის დიდი უმრავლესობისთვის, ეს უფრო ითქმის ისევ პროლეტარიატის აწმყო და მომავალ ზნეობაზე, რომელიც წმინდა სანთელივით ოდნავ ბჟუტავს თანამედროვე შავ სინამდვილეში, მაგრამ რომელიც ადრე თუ გვიან მძლავრ ლამპარივით გააჩირაღდნებს კაცობრიობას.

ბურჟუაზიული მორალი მუდამ ექვემდებარება ამ კლასის ეკონომიურ ინტერესებს, იგი მუდამ მსახურია ამ დაუნდობელი ინტერესებისა; ამიტომაც იგი კაპიტალის ზეგავლენით მუდამ იზნიქება, ხან მთლად ჰქრება მისი სახე, ხან ისევ ჩნდება და იკავებს პირველ ხარისხოვან ადგილს საზოგადოების ცხოვრებაში. აი ამ მორალის სახე კარგად გაგვაცნეს თვით ევროპის პროლეტარიატის დიდმა იდეოლოგებმა.

თუმცა ასეთია დღევანდელი საზოგადოების ზნეობა, მაგრამ იგი მაინც ზნეობაა. იგი მაინც ახდენს ამ მხრივ ზეგავლენას დღევანდელი საზოგადოების ყველა კლასებზე, საერთოდ ხალხებზე და, საუბედუროთ, თვით სოციალური დემოკრატიის დიდი ნაწილიც მომწყვდეულია მის გავლენის რკალში. ჯერ კიდევ დიდია მისი ძალა და ზედმოქმედება ხალხთა გონებასა და გრძნობაზე. საერთოდ იდეოლოგია მუდამ კონსერვატიულია, ეკონომიკასთან შედარებით. ამიტომ გასაკვირველი არაა, თუ ფართო დემოკრატია ჯერ მთლად ვერ განთავისუფლებულა ბურჟუაზიის იდეოლოგიისაგან. ეს იდეური საბოლოო გადატეხა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

და ამიტომაც დღევანდელი ბურჟუაზიული სახელმწიფონი ცდილობენ ყოველი თავისი მოქმედება გაამართლონ ამ საერთაშორისო მორალის და უფლების ძალით. იგინი თავის მოკავშირებთან ხშირად ამ მძლავრი იარაღით აწარმოებენ ბრძოლას. გონებრივი იარაღი ყველაზე მჭრელია, თუ ის სათანადო დროს იქნა მოხმარებული და საჭირო ალაგს მოხვდა. ეს ძალა ზნეობისა აშკარად და ნათლად გამოიხატა აგრეთვე ამ ომში. მსოფლიო ომი ჩვენ ვიცით რითაც და რათაც დაიწყო. ისიც აშკარაა, თუ რა უდევს სარჩულად და რა მიზნები აქვს მას. მაგრამ ამ უმაგალითო ჭიდილში ზნეობრივი ელემენტიც არა ნაკლებ როლს თამაშობს. იარაღი და ტეხნიკა დიდი ძალაა, მაგრამ არა ნაკლები ძალის მქონეა ხშირად ზნეობრივი მხარე საკითხისა და საერთოდ, გონებრივი იარაღი. ამ მოვლენას ყველა სახელმწიფო დიდ ანგარიშს უწევს, რადგანაც ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანობა უნდა დამყარდეს და ეს ზავი უნდა დაამყაროს ფიზიკურ ძალასთან ერთად გონებრივმა ძალამაც, ერთხელაც იქნება სამშვიდობო კონგრესი უნდა გაიხსნას და აშკარაა იქ რამდენიმეთ გზა გაეხსნება სწორედ ამ მორალურ ელემენტსაც. რომელი სახელმწიფოც მოახერხებს ზნეობრივად პატიოსნად თავის თავის გამოყვანას და ამ მხრივ საჭირო რეკომენდაციის გაკეთებას, სხვა მიზეზებთან ერთად, ამასაც ასე თუ ისე გავლენა ექნება, რომ გამარჯვების სასწორი მისკენ გადაიხაროს.

გავიხსენოთ წარსული ომები. ყველა სახელმწიფონი სცდილობდენ „სამართლიანობის იდეის" სახელით შინ და გარეთ თავის პოზიციის გამაგრებას. ძირ მომპალი რუსეთის არხი-უზნეო თვითმპყრობელობაც კი 1904 წლის ომის დროს სცდილობდა იაპონელების ზნეობრივად მიწასთან გასწორებას, თავის ზნეობრივი უპირატესობის ხალხში განმტკიცებას. რას არა სწერდენ იაპონელებზე, რომ შინ „სამოქალაქო ზავის" იდეა ყველა კლასებში განემტკიცებიათ. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს მან ვერ შესძლო და დამარცხდა კიდეც.

ეხლანდელ გრანდიოზულ ომში ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მოვიგონოთ თუნდა რუსეთის ყოფილი მთავრის მიმართვა პოლონელებისადმი და საერთოდ წვრილ ერებისადმი, მოვიგონოთ სხვადასხვა სახელმწიფოთა „სიმხეცის" ჩადენის შესახებ სტატიათა და გამოკვლევათა კორიანტელის დაყენება მომავალში ანგარიშის მოსათხოვნად. ყველა სახელმწიფო სცდილობდა უპირველესად ყოვლისა თავისი ერის დემოკრატიის და შემდეგ კი სხვა ერებისას, თავის მხარეზე ზნეობრივად მიმხრობას. ამით საუკეთესო ნიადაგს უმზადებდა „სამოქალაქო ზავს" შინ და ორკეცდებოდა გარეშე საომარი ძალები სახელმწიფოსი. ინგლისმა ვითომ პატარა ბელგიის უფლება დაიცვა, მოჰყვა გერმანიის უზნეობის წინააღმდეგ კამპანიის წარმოებას და ამით თავის დემოკრატიაზე ძირმომაგრებული, შეუდგა წმინდა იმპერიალისტური ომის წარმოებას. და თუ ევროპის სახელმწიფონი ეს ოთხი წელიწადია ასე ომობენ და ებრძვიან ურთიერთს, ამის მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ არც ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს ზნეობრივი გავლენა და ძალა თავის ერის დემოკრატიაზე ჯერ სავსებით არ შერყეულა და არ დაცემულა. „სამოქალაქო ზავი" ჯერ არც ერთ სახელმწიფოში იმდენათ არ დარღვეულა, რომ იმპერიალისტური ხელი შეჩერებინა.

ჩვენ ამ ეკონომიურ გრანდიოზულ შე-

გულ დაწყვეტილი ქმარი კოლია (აპოლონი) შვილი ირაკლი, მაზლი რამანი, რძალი ნინა, მაზლის შვილები ალექსანდრე და მარია, აუწყებენ ნათესავთ და ყველა ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას

მარია სტეფანეს ასულის დვალისას

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათ. დასაფლავება 28 ივლისს, გამოასვენებენ ამაღლების ქ. № 13 დილის 9 საათ. დასაფლავება მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

ჯახებაში ამ მომენტს, წმინდა ზნეობრივს, მნიშვნელობას ვაძლევთ. ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია ამ სფეროს გაფართოებაში, თავისი ბრძოლის მეთოდების შორის ამ მჭრელი იარაღის უფრო გალესვაში. ამ მომენტს, რასაკვირველია გერმანიაც გამოიყენებს, მით უმეტეს იქ, სადაც ამგვარი პოლიტიკის წარმოება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მის ეკონომიურ ინტერესებს. და ჩვენ გვგონია, რომ გერმანია ამ მომენტით ჩვენ სამშობლოშიც ისარგებლებს. რასაკვირველია მთავარი ინტერესი გერმანიისა საქართველოში ეკონომიურია. თავისი მხრით საქართველოს ეკონომიური და სხვა ინტერესიც მოითხოვს დღეს გერმანიასთან მტკიცე კავშირის დაჭერას. ორივე სახელმწიფოს პოლიტიკის გზა სწორედ აქეთკენ არის მიმართული. მაგრამ ჩვენ გვგონია ზნეობრივ ელემენტსაც ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიისთვის და თუ ამას იგი აქამდე ანგარიშს უწევდა, მომავალში კიდევ უფრო გაუწევს. როცა გერმანიამ იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და იცავს აშკარად მას გარეშე მტრებისაგან, ამას იგი უპირველესად ყოვლისა თავის პირდაპირ ეკონომიურ სარგებლობიანობისთვის სჩადის, მაგრამ იგი ამით ამაგრებს თავის ზნეობრივ ავტორიტეტსაც საერთაშორისო და უმთავრესად თავისი დემოკრატიის თვალში და აძლევს თავის თავს ზნეობრივ საბუთს სთქვას: აი ჩემი კეთილშობილება, დემოკრატიული საქართველო, რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გათელილი, რომელსაც ახლა ოსმალეთის აზიური დესპოტია ემუქრებოდა, ჩემი მფარველობის ქვეშ მოვაქციე, არავის მივეც მისი გათელვის უფლება და ეს მშვენიერი, დემოკრატიის ქვეყანა სრული ეროვნული განვითარების გზაზე დავაყენე. ეს დიდი საბუთია მისთვის ეხლაც თავისი პოზიციის გასამაგრებლად. მთავარი, ვიმეორებთ, ის არის, რომ გერმანიის და საქართველოს ობიექტიური ინტერესები შეთანხმებულია. მაგრამ საქართველოს დემოკრატიამ მთლიანად უნდა ისარგებლოს ამ ზნეობრივი მომენტითაც; შესაფერი დასკვნა გამოიყვანოს და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თავისი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

არ—მ.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

25 ივლისი.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. ლისის ჩრდილოეთით, არრასის და ალბერის ორივე მხარეს ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. ავრის დასავლეთ ნაპირად მტერმა წინ წამოწევა შესძლო. კონტრ-იერიშით მტერს უკან დავახევინეთ. მარნისა და ენის შუა მტერმა ახალი დივიზიები მოიყვანა და დილით-ვე გუშინ შეტევა დაიწყო. ფრანგებს და ამერიკელებს კვლავ დიდი ზარალი მოუვიდათ. დუაიროდის და ბარტენეს შორის მტერმა ხუთჯერ მოიტანა იერიშები ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ უნაყოფოდ. ვილერ-მონტვანთან მტერმა წინ წამოიწია, მაგრამ ჩვენ აქ უკან დავახევინეთ. ყველგან ამ ფრონტზე ინგლისელებს და ფრანგებს იერიშები მოჰქონდათ, მაგრამ ჩვენი კონტრ-იერიშებით მოგერებულ იქნენ.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. სუსტი საარტილერიო სროლისა და მზვერავთა ზოგიერთ ალაგს შეტაკების შემდეგ მთელს ფრონტზე სიწყნარეა. შარდუნთან ჩვენს ჯარს შეტაკება მოუხდა ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებულებთან. მტერი ცდილობდა აქ რკინის გზის ხელში ჩაგდებას. აქ ჩვენმა ჯარმა შესძლო მათი გარეკა. შარდუნთან აჯანყებულთა ორასი მკვდრის გვამი დავთვალეთ.

მტრის 6 აეროპლანმა 23 ივლისს ნაშუადღევს სტამბოლში ყუმბარები ჩამოყარა. არავითარი საგრძნობი ზარალი არ მიუყენებიათ ქალაქისთვის. დაიჭრა 5 კაცი.

პარიზი. საფრანგეთის ჯარებმა რეიმსთან დაიკავეს ტყიანი ადგილები. მეილის ოლქში 23 ივლისს ფრანგებმა წამოიყვანეს ტყვეთ 1850 კაცი, მათ შორის 52 აფიცერი, რომელთაგან 4 ბათალიონის უფროსებია.

ბუქარესტი. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იასსაში ნოტა გაუგზავნა რუმინიისა და უკრაინას შორის დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. უკრაინის მთავრობამ დანიშნა წარმომადგენელი კიშინიევში.

26 ივლისი.

ბერლინი. ოკესა და საბურტენეს შორის მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა. აქ მოვიგერიეთ. უშედეგო იყო აგრეთვე მტრის ჭიერ მოტანილი იერიშები ალბერტის დასავლეთით მეილის მხრით. სუასონის და რეიმსის შორის სამხედრო მოქმედება გუშინ შესუსტდა. მტერს ძლიერი იერიშები მოჰქონდა ჩვენს წინაღმდეგ ურკის სამხრეთით და რეიმსის სამხრეთ დასავლეთით, რომლებიც კონტრ-იერიშებით მოვიგერიეთ. ვოგეზებში ბავარიის ჯარებმა ტყვეები წაიყვანეს.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. ზოგიერთ ადგილებში საარტილერიო სროლაა. მდ. იორდანეს აღმოსავლეთით ზღვის პირის რაიონში მტრის მზვერავთა იერიში მოვიგერიეთ. 23 ივლისს ღამით მაანში მდგომმა ჩვენმა ჯარმა შესძლო მტერზე იერიშის მიტანა და მტერს ზარალი მიაყენა.

პარიზი. ფრანგთა ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ შესძლეს კურსი სილვილის დაკავება. სამხრეთით ფრანგ-ამერიკელთა ჯარებმა შესძლეს 3 კილომეტრით წინ წაწევა, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდენ. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ სიმაღლე „141“ და დავგვრჩა მდ. ნარტეილი. სამხრეთით ავიღეთ სოფ. კუანსი, ტურნელის ტყის დიდი ნაწილი და გადავედით პორტსკის ტყეში. კარგათ მიდიოდა აგრეთვე ფრანგთა გადაყვანის საქმე რისსის ტყეში. ეფრესში შესძლეს გერმანელებმა გამაგრება „240“ სიმაგრეზე, მაგრამ ფრანგებმა ეს სიმაგრე შემდეგ დაიბრუნეს. 100 ტყვე წამოვიყვანეთ.

ბერლინი. სუასონსა და რეიმსს შორის ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა.

ვენა. ალბანიაში გუშინ დილით ჩვენი ჯარები მდ. სემენში გავიდენ კუსთან. ჩვენმა სახელოვანმა ბათალიონებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა. წამოყვანილ იქნენ ტყვეები მრავლად. კუსისა და ზღვის შორის დავიკავეთ მტრის ზოგიერთი პოზიციები.

პარიზი. პარიზში რუსეთის საელჩომ განკარგულება მოახდინა, რათა ხუთშაბათს პარიზის რუსთა ეკლესიაში გადახდილ იქნას პანაშვიდი რუსეთის ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის სიკვდილის გამო.

მოსკოვი. ტაშკენტიდან. სახალხო კომისართა საბჭოს ლენინს № 604 რევოლიუციით მონაპირის შესანარჩუნებელ ბრძოლაში თავს მხნედ ვგრძნობთ. გისმენთ რა თქვენ, ჩვენი ძალები ორკეცდება და მტკიცდება. ვშუამდგომლობ პოლკთან ერთად გამოგზავნოთ პატრონები და სხვა სამხედრო მასალა. ამის შესახებ მე ველაპარაკე ბონჩ-ბრუევიჩს. ყოველივე ზომას ვიხმართ ბაქოსთან კავშირი დავიკავოთ. თურქესტანის რესპუბლიკის „სოვნარკომის“ დროებითი თავმჯდომარე კოლესოვი.

უკანასკნელი ცნობები

ლეჩხუმის მაზრა

პოლკ. ინწკირველი იტყობინება: სოფ. ნამახვანის აღების შემდეგ ჩვენი ჯარის მზვერავმა ნაწილმა გაჰფანტა მეამბოხეთა მოწინავე რაზმი. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ხვალისთვის შევძლებ სოფ. ნასოფლისევის დაკავებას.

საჩხერე

კაპ. იშხნელი იტყობინება, რომ იქ თანდათან მშვიდობიანობა მყარდება. ხალხს იარაღს ჰყრიან. მოსალოდნელია ამ დღეებში ამბოხების სრული ლიკვიდაცია.

ყაზბეგი

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ ყაზბეგიდან, რომ იქ ამბოხების სრული ლიკვიდაცია მოხდა.

ჩარტვილის რაიონი.

ს. გორდში რამოდენიმე შეიარაღებულ ყაჩაღ ბოლშევიკებს გადაუყენებია ადგილობრივი მთავრობა და ძალა-უფლება თვით აუღია ხელში. 8 პირ. სათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ. ადგილობრივმა მთავრობამ უკვე მიიღო ზომები ბრბოს ასალაგმავად.

გორის მაზრა.

სასოფლო კომისიაში. გორის სამაზრო პასუხისმგებელი წარმომადგენელი, რომელიც ამ ერთი კვირის წინათ იყო გაგზავნილი ძალების გამოსაძებნათ და ადგილობრივ პირობების მიხედვით სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, შემდეგ ცნობებს იძლევა სასოფლო კომისიაში: გორის მაზრა დანაწილებულია რვა რაიონათ. თვითოეულ რაიონში არიან ადგილობრივი მომუშავეები, რომლებიც მოქმედებენ სასოფლო კომისიის მიერ მიცემულ დირექტივების თანახმად. სამაზრო წარმომადგენელი თვალყურს ადევნებს ამ მუშაობას და ხელმძღვანელობას უწევს მათ. პროპაგანდისტები ვალდებულნი არიან ადგილობრივი მდგომარეობა ყოველ კვირაში აცნობონ სამაზრო წარმომადგენელს, რომელიც, შეაგროვებს რა ყოველივე ცნობებს, წარმოუდგენს მათ ცენტრალურ სასოფლო კომისიას.

ოსებში მომუშავეებათ დანიშნული არიან აჩტ. ბიბილური და კ. ძებისაშვილი.

ხონი.

დააპატიმრეს 8 ბოლშევიკი და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

თფ. მუშ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭო.

24 ივლისის სხდომა.

(დასასრული)

ბერიოზოვი (ს.-რ.) ეკამათება წერეთელს და ამბობს, რომ მომხსენებელი შეეხო მხოლოდ საქართველოს მდგომარეობას, ამ ორ გუბერნიის დაცვა სრულიად არ შეადგენს საერთოდ პროლეტარიატის საქმის კეთებას, ეს არის ინტერნაციონალის ღალატი და სხვა. ის ეხება სომხის და ადერბეიჯანის კრიტიკულ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ საქართველომ თავისი საქმეები ასე თუ ისე მოაწყო გერმანიის წინაშე წამოჩოქებით და მეზობელი სახელმწიფოები კი ღვთის ანაბარათ დატოვაო. ამ შემთხვევაშიაც ორატორი ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიას უკიჟინებს ინტერნაციონალისადმი ღალატს. შემდეგ ის ეხება მიწის საკითხს და ამბობს, რომ მიწის გლეხებისადმი მიყიდვა ეს სოციალიზმის წინაშე ღალატის ჩადენა არისო. სიკვდილით დასჯის კანონის შემოღებაც ეწინააღმდეგება სოციალიზმსო და სხ. ორატორმა მთელი საათი კრიტიკას მოანდომა და მიუხედავად ზოგიერთი წევრების მოთხოვნილებისა გამოსავალი გზა ეჩვენებინა,—ამაზე კრინტიც არ დაძრა.

მუშა ფოფხაძემ და ფარნიევმა მიუთითეს ბერიოზოვს და მის გარშემო შემოკრებილ ჯგუფს იმაზე, რომ ისინი აწარმოებენ მხოლოდ და მხოლოდ უპასუხისმგებლო კრიტიკას, ხოლო საქმის გაკეთებას გაურბიან. ისინი აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ბერიოზოვ-თარხანოვები დუშეთის გამოსვლებში არაპირდაპირ მონაწილეობას ღებულობდენ. ჩვენ აღვიზარდეთ და ვიზრდებით ფაქტებზე, მხოლოდ თარხანოვ-ბერიოზოვების შესახებ ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენო. ჩვენ, მუშებმა ბევრი და ლამაზი ლაპარაკი არ ვიცით, ამბობს ფარნიევი, მაგრამ ჩვენ სიმართლეს ვგრძნობთ და ამის შეგნება გვაქვსო.

ი. წერეთელი. ამხ. ჩვენ ვმსჯელობთ და ვარჩევთ ისეთ საკითხს, როცა აუცილებლად საჭიროა ერთმანეთის გაგვეგებოდეს. ეს საკითხები პრესაშიაც ირჩეოდა. მე ჯერ შევჩერდები ბერიოზოვ-თარხანოვის ზოგად დებულებაზე და შემდეგ გადავალ კონკრეტიულ დებულებებზე. მთავარი მოსაზრება, რომლიდანაც გამოდიოდა წერეთელი, იყო ორი გუბერნიის დაცვის საკითხი და ამის ირგვლივ ააშენა თავისი მოხსენებაო,—სთქვა ბერიოზოვმა და თარხანოვმა დაუმატა, რომ გ. პლეხანოვი ინტერნაციონალის მებაირაღტრე იყო და მისი სახელის ხსენების უფლებაც არ გაქვთო. მე სწორედ ამ მათი ყალბი აზრის და შეხედულების გასაქარწყლებლად მოვიყვან გ. პლეხანოვის მიერ თავის დროს დაწერილ დებულებას: ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, მაგრამ ჩვენთვის საიდუმლო არ არის, რომ ერი (ნაცია) არის თვით მიზანი, როგორც კერძოდ ადამიანი, და არ შეიძლება ის მოიხმაროს ვინმემ განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად, როგორც საშუალება; თუ ვინმე უყურებს ერს, როგორც საშუალებას, მაშინ ის სოციალისტი არ არისო. ეს დებულება მთელმა სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ ჭეშმარიტებად მიიღო. სოციალისტს არ შეუძლია რომელიმე ერის გვამზე სოციალიზმი ააშენოს. ის იქნებოდა სხვისი უბედურებაზე თავისი ბედნიერების აშენება. ამას კი როგორც სოციალიზმი, ისე ჭეშმარიტად გაგებული ინტერნაციონალი სასტიკად ეწინააღმდეგება. და როცა აქ თარხანოვ-ბერიოზოვებმა პლეხანოვი ახსენეს და მას მიაწერეს ისეთი რამ, რომელსაც ის სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა, ალბათ საფლავში პლეხანოვის ძვლებიც კი შეინძრეოდენ. როცა მე აქ ვლაპარაკობდი ორ გუბერნიის ინტერესებზე, მაშინ მე აზრათ არ მქონია ამ ორი გუბერნიის ინტერესები საერთო, მსოფლიო ინტერესების წინ დამეყენებია და სხვა. ვეკითხები მათ მე: სად არის აქ ინტერნაციონალის ანუ სოციალიზმის ღალატი? თუ ჩვენ შევსძლებდით დემოკრატიის განადგურებისაგან დაცვას ამ ორ გუბერნიაში მაინც, განა ამით ინტერნაციონალი ან ვინმე რამეს დაკარგავდა? თარხანოვმა ჩვენ ნაციონალისტობა დაგვწამა და გვითხრა, რომ თქვენი საქმეები ასე თუ ისე მოაგვარეთ, მაგრამ ადერბეიჯანი და სომხეთი ხომ დარჩა ღვთის ანაბარათ და განადგურებას არ ასცდაო და სხვა. მე გეკითხებით თქვენ, ბატონებო, რომ საქართველოც გაენადგურებიათ იგ, როგორც სომხეთი და ადერბეიჯანი, ამით ისინი რამეს მოიგებდენ? გაქა ეს ჩვენი მეზობელ სახელმწიფოებისათვის სასარგებლო იქნებოდა? მხოლოდ შოვინისტს შეუძლია სთქვას ასეთი რამ. ჩემის ღრმა რწმენით, საქართველოც რომ განადგურებია მტერს, მაშინ სომხეთ-ადერბეიჯანის მდგომარეობა უფრო მძიმე იქნებოდა, მათ მაშინ უფრო ნაკლები იმედი ექნებოდათ საქმის გამოსწორებაზე. ჩვენ ყოველივე ღონე ვიღონეთ რევოლიუცია დაგვეცვა საერთოთ რუსეთის მასშტაბით, შემდეგ ამიერ-კავკასიის და როცა ეს შესაძლებელი შეიქნა, ჩვენ ამ გუბერნიებში მაინც ვაკეთებთ და ვიბრძვით საერთოთ დემოკრატიის საკეთილდღეოთ და სასარგებლოთ. ამის შემდეგ მე თქვენ გეკითხებით: ვინ დამდგარა მრუდე გზაზე, ჩვენ, რომლებიც: ვიცავთ დემოკრატიის ინტერესებს შესაძლებლობის ფარგლებში, თუ თქვენ, რომლებიც ამბობთ, რომ ერთი თუ დაიღუპა, უკეთესია დაღუპულისათვის, რომ მეორეც დაიღუპებოდესო. შემდეგ ბერიოზოვი შეეხო ერთ მთავარ დებულებას კაპიტალისტურ მეურნეობაზე სოციალიზმის აშენება ეს ახალი არის თქვენს პროგრამაშიო. ამ საკითხის შესახებ ჩვენ ბევრს არ ვეთანხმებოდით, მხოლოდ ეს დიდი ხანია ჩვენ ვაღიარეთ და ტყუილად ამბობს, რომ ახალი არისო. ჩვენ რევოლიუციის პირველ დღიდანვე ვამბობდით, რომ უბედურებას ის სჩადის, ვინც მოუმზადებელ ხალხს მოუწოდებს სოციალიზმის განხორციელებისაკენ. ის გზა, რომელსაც ჩვენ გვიჩვენებდენ რუსეთში დემოკრატიის დამღუპველი იყო და მას ხრამში გადაჩეხვას პირდებოდა და სხვა. ბერიოზოვმა ჩვენ დაგვწამა, რომ მდგომარეობა ცუდათ დააფასეთ, დასკვნები სწორათ ვერ გამოიყვანეთ და აი ამან მიგიყვანათ იმპერიალისტური სახელმწიფოს წინაშე წამოჩოქებულ იყავით და დახმარება გეთხოვათო. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ომის გათავება, ლიკვიდაცია ჩვენი მიზანია, ეს უნდა შეასრულოს საერთაშორისო პროლეტარიატმა, მხოლოდ რუსეთს მარტო არ შეუძლია ეს ტვირთი აიკიდოს და მოღალატენი არიან ისინი, ვინც ამ მისიის ასრულებას მარტო რუსეთს აკისრებენ. ამას ჩვენთან ერთად თქვენც აღიარებდით და ჩვენთან ერთად იბრძოდით რუსეთში. ახლა გეკითხებით მე თქვენ: შესაძლებელია თუ არა ორ გუბერნიამ განახორციელოს ის, რაც ვეებერთელა რუსეთმა ვერ შესძლო? და თუ ჩვენთან ერთად აღიარებდით ამის შეუძლებლობას რუსეთის ფარგლებში, რათ შესცვალეთ აზრი და რათ მოითხოვთ ჩვენგან, რომ ეს განვახორციელოთ აქ, ორ გუბერნიაში? მე ბერიოზოვის გულწრფელობაში იჭვი არ შემაქვს, მაგრამ უნდა ავღნიშნო, რომ ის შეუპყრია ერთგვარ გაუგებრობას და აი სწორედ იმით აიხსნება ის გარემოება, რომ ის საზომი, რომელიც რუსეთისათვის გამოუსადეგარი იყო და ახლა ჩვენთან ერთად თვითონ ისინი აღიარებდენ, საქართველოსათვის მათის აზრით ჩინებული იქნება თქვენ ბატონებო. რუსეთის შესახებ მაშინ ძალიან ფხიზელი შეხედულება გქონდათ და აქ, საქართველოს შესახებ ამას ვერ იჩენთ. რასაც რუსეთისათვის დიდ დანაშაულად თვლიდით, საქართველოსთვის უდიდეს კეთილ საქმეთ სცნობთ, რით აიხსნება ეს? (ტაში). ჩვენ გვიკიჟინებთ გერმანიასთან კავშირის შეკვრას მაშინ როცა რუსეთში თქვენი ამხანაგები აშკარად აღიარებდენ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მსოფლიო იმპერიალიზმთან მარტო ბრძოლა და მისი დამხობა და საჭიროდ და აუცილებლად სცნობდენ ვინმესთან შეკავშირებას, თუნდაც საფრანგეთ ინგლისის იმპერიალისტებთან. როგორ ინძრევა თქვენი ენა, როცა ჩვენ გვირჩევთ იმას, რის წინააღმდეგ თქვენ რუსეთში იყავით. კარგი, დავუშვათ, ერთი წუთით რომ თქვენი შეხედულება სწორია, მაგრამ გვიჩვენეთ გამოსავალი გზა. მგონი მეათეჯერ გეკითხებით ამას. თქვენ ამბობთ, რომ გერმანიის მოწვევა დანაშაულია, ოსმალეთს ჯერ თქვენთვის არაფერი უქნიაო, განა ოსმალეთმა არ დაგვაგლიჯა ჩვენ ტანზე ცოცხალი ნაჭრები (ოზურგეთის აოხრება) და განა გერმანია, რომ არ მოგვეწვია ჩვენ ახლა აოხრებულნი არ ვიქნებოდით? თქვენ არ მოგწონთ ჩვენი კომპრომისები, და გვეკითხებით დასაშვები არის თუ არა სოციალისტისათვის კომპრომისებზე წასვლაო. ჩვენ გვწამს და შესაძლებლათ ვაღიარებთ ისეთ კომპრომისს, რომელიც მუშათა კლასს გააძლიერებს. მე თქვენ გეკითხებით, როდის იქნებოდა ჩვენი მუშათა კლასი უფრო ძლიერი, ველური ოსმალეთის მიერ განადგურების შემდეგ, თუ კულტურულ გერმანიის გავლენის ქვეშ? ეს ერთად ერთი კრიტერიუმია. ვერც ერთ სოციალისტურ ლიტერატურაში თქვენ ვერ ნახავთ დოგმას იმის შესახებ თუ სანამდე შეუძლია დათმობა მუშათა კლასს. აი მე ვამტკიცებ, რომ არ წავსულიყავით კომპრომისზე, მუშათა კლასი დაიღუპებოდა, ახლა გასაგებია: ხალხის და დემოკრატიის მტერია ის, ვინც ის დაღუპვას გადაარჩინა თუ ის, ვისაც დაღუპვის გზისაკენ მიყავდა?

თქვენ გვიკიჟინებთ სიკვდილით დასჯის კანონი რათ შემოიღეთო. ეს საკითხი მართლა წყეული საკითხია. მაგრამ რაღა უნდა ქნას რევოლიუციონურმა მთავრობამ, როცა რევოლიუციას სხვადასხვა შავრაზმელები და ხალხის მტრები თავს ესხმიან და განადგურებას უქადიან? რა საშუალებას უნდა მიმართოს მთავრობამ თუ არა სიკვდილით დასჯას, როცა რევოლიუციის მტრები დარაზმულათ მოდიან მის წინააღმდეგ? რევოლიუციის პროცესში საჭირო შეიქნა შავი ტერორის, სიკვდილით დასჯის კანონის აღდგენა, მაგრამ მაშინ ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბოლშევიკებმა და ესერებმაც, მაგრამ როცა მათ წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოილაშქრეს, თვითონ მათ მიიღეს სიკვდილით დასჯის კანონი, დღეს სოც.-რევოლიუციონერები იქ რუსეთში ამის წინააღმდეგ არ მიდიან. (ესენი რა პარტიის ხალხია—ვიღაცამ წამოიძახა ადგილიდან. იქიდანვე უპასუხეს: კავკასიის ს. რევოლიუციონერებიაო). თუ რომელ პარტიას ეკუთვნიან ესენი, ამაზე შემდეგ შევჩერდები. პირობები, როგორც რუსეთში ისე აქ, ამ შემთხვევაში ერთნაირია. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე პროვოკატორმა გასწია ხულიგნური პროპაგანდა და გამოიწვია თვითგასამართლება ხალხის მიერ. ამას არ სჯობია, რომ რევოლიუციის და დემოკრატიის სახელით, სასარგებლოდ ის კანონიერად გასამართლებულ იქნას თუ გინდ სიკვდილით დასჯით. თქვენ სცნობთ არა კანონიერად სიკვდილით დასჯას და დაკანონებულ სიკვდილით დასჯას ეწინააღმდეგებით. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ თქვენზე ნაკლებ არ აწუხებდა ნაციონალურ საბჭოს თითოეულ წევრს, როცა ის სიკვდილით დასჯის კანონ-პროექტს ამტკიცებდა.

აქაური ესერების პარტია არის რუსეთის პარტიის ფილიალური განყოფილება, რომლებიც ორი გუბერნიისათვის აკეთებს იმას, რაც არ უნდა აკეთოს მსოფლიოსათვის. ჩვენში ხმარობენ ისეთ საზომს, რომელსაც არავისთვის არ მოიხმარენ. რაც შეეხება აგრარულ საკითხს, აქ ჩვენ ვაკეთებთ იმას, რასაც დღემდე ვამბობდით და ვწერდით. ჩვენ თავს გვესხმიან ბერიოზოვ-თარხანოვები ორის გზით. ერთი კერძო საკუთრების დატოვება და მეორე მიწის გამოყიდვის შესახებ. ეს ნამდვილი ფაქტის წინაშე თვალების დახუჭვაა, ანუ სრული გაუგებრობა. ჩვენ არასოდეს არ ვამბობდით, რომ პირდაპირ სოციალიზმის სამეფოში გადაფრენა შეიძლება, როგორც ამას ბოლშევიკები და მემარცხენე ს. რევოლიუციონერები ფიქრობენ. ჩვენ პირველ ხანებში, სანამ ეს შესაძლებელი არ არის კაპიტალის განუვითარებლობის გამო, კერძო საკუთრებას არ ვსპობდით. ამას ეწოდება ჩვენს პროგრამაში მუნიციპალიზაცია. რაც შეეხება გამოყიდვას, ჩვენ მემამულეებისაგან კი არ ვყიდულობთ მიწას, არამედ—ვართმევთ უფასოთ, მხოლოდ უწევთ რა ანგარიშს გლეხების პსიხოლოგიას, მისწრაფებას—გვინდა მათ მივყიდოთ მიწა, თუ როგორი იქნება ფასები, ეს სხვა საკითხია. ეს დებულება ჩვენს პროგრამას, მიწის მუნიციპალიზაციას სრულებით არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან ის გულისხმობს მიწის გლეხებისათვის გადაცემას განსაზღვრულ გადასახადით. თქვენ, ალბათ, ამის მაგივრად მიწის სოციალიზაციას გვაჩრით ხელში. სოციალიზაციამ რუსეთში, სადაც თემური მიწათმფლობელობაა, ვერ პოვა ნიადაგი და იქ სოფლის „კულაკებს“ ჩაუვარდა მიწები ხელში, და აქ ხომ იმის ცხოვრებაში გატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ერთი მითხარით, განა სოციალიზაცია განხორციელდა სადმე? მშვენიერ მაგალითს იძლევა საფრანგეთი, სადაც გლეხებმა მიწას, (როცა მათ ეს დაურიგეს) ისე მაგრათ ჩასჭიდეს ხელი, რომ ვერავითარმა რეაქციამ ვერ შესძლო მერე მისი წართმევა.

ბერიოზოვი და თარხანოვი დაგვპირდა, რომ ნაციონალ-დემოკრატების წინააღმდეგ ჩვენ თქვენთან ერთად ვიბრძოლებთო, მე მიკვირს, რათ აძლევენ ისინი ნაც.-დემოკრატებს ასეთ პრივილეგიას, მათ ჩვენ აუვალთ. თუ სურთ მათ ჩვენთან იბრძოლონ, დეე დაგვეხმარონ ანარქიასთან ბრძოლაში, მთავრობის მოწინააღმდეგე ამბოხებულთა დაწყნარებაში და მაშინ ჩვენ შორის იქნება იდეიური უთანხმოება, მხოლოდ რევოლიუციონური ფრონტი საერთო გვექნება. (ხანგრძლივი ტაში).

და ბოლოს საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საბჭო იწონებს ამხ. კომ. ნაბიჯებს მთლიანი დემოკრატიული მთავრობის შექმნისაკენ გადადგმულს საერთოდ დემოკრატიული და საბჭოს ძალების ერთ მთლიანი მაგარ მთავრობაში თავის მოყრით, რომელიც მიზნად ისახავს განმტკიცებას ხალხის პოლიტიკურად ბატონობის და რევოლიუციის მონაპოვრების, რევოლიუციონურ ორგანიზაციებს რჩებათ კონტროლი და პროპაგანდა—აგიტაციის [illegible] საბჭო იწონებს მთავრობის [illegible] მიღებულ ზომებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლად“.

აკ. ს—უა.

ახალი ამბები

დღეს დილის 10 საათზე დანიშნულია სასწრაფო კრება საოლქო კომიტეტის ს. დ. მ. პ. საჭირო კითხვების გასარჩევათ. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლათ დაესწრონ.

◆ **სწავლა-განათლების სამინისტრომ** შეიმუშავა კანონ-პროექტი საქართველოს ქართული უნივერსიტეტის შესახებ და მთავრობას წარუდგინა.

◆ **მთავრობაში.** მთავრობამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა პროექტი, რომ მას უფლება მიეცეს დაწესებულებების რეორგანიზაცია ისე მოახდინოს, რომ თვითეულ შემთხვევაში ეროვნულ საბჭოს წარუდგინოს ხოლმე მოხსენება ამის შესახებ.

— სახელმწიფოს კონტროლიორმა სთხოვა მთავრობას, ეროვნულ საბჭოში კანონ-პროექტის განხილვის დროს მოწვეულ იქმნას სახელმწიფო კონტროლიორის წარმომადგენელი.

— წითელი ჯვრის ყველა დაწესებულებების ლიკვიდაციისათვის, მიწათმოქმედების სამინისტრო მოითხოვს 86,900 მანეთს.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** მიმართა გუბერნიებისა და მაზრების კომისრებს, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს შემდეგი წინადადებით: მთავრობის დადგენილებით საქართველოში პურის შესაძენათ დაინიშნა ვ. არდიშვილი. ამისათვის მას განსაკუთრებული უფლებები ეძლევა; სხვათა შორის, მას უფლება აქვს დაატუსაღოს ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ ხელის შემშლელნი. ყველა დაწესებულებები და ორგანიზაციების მოსამსახურენი ვალდებულნი არიან შეასრულონ მისი მოთხოვნილება. შეუსრულებლობისათვის დაისჯებიან ისე, როგორც საქართველოს მტრები.

◆ **შაქრის დაკავება.** 25 ივლისს მეათე კომისარიატში მიიტანეს 12 „დროგი“ შაქარი. როგორც გადმოგვცემენ, სპეკულიანტებს აზრათ ჰქონიათ შაქრის სხვა ქალაქებში გაზიდვა. სპეკულიანტები სადღაც მიიმალნენ.

◆ **მუშათა კლუბი.** 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე, რევოლიუციის მოედანზე ნაძალადევში მოხდება გახსნა პირველი რაიონის მუშათა კლუბისა. წაკითხული იქნება: ლექცია ქართულად და რუსულად, იქნება მოხსენება კულტურულ-განმანათლებელ კომისიისა, მილოცვები, სინემატოგრაფი. დაუკრავს ორკესტრი.

◆ **ნაძალადევის თეატრში.** დღეს, 27 ივლისს, „პირველი ნაბიჯის“ სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება: 1) „ბაიყუში“, 2) „დედის ერთა“ და რ. ჯიბილა წაიკითხავს გურულ სცენას. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **დატუსაღება.** 26 ივლისს დაატუსაღეს მიტ. პოპოვი, სერ. გოროდცოვი და ალ. პლატონოვი.

◆ **ტფილისის საშუალო პოლიტეხნიკურ სასწავლებელში** ამ წლის შემოდგომიდან გაიხსნება ორი განყოფილება—ტყისა და საამშენებლო.

◆ **საქართველოს მთავრობასთან არსებულ პრეს-ბიურო** ჰფიქრობს კავშირი დაიჭიროს უკრაინის ბიუროსთან.

◆ **სეირნობა.** კვირას, მეორე ქართულ კლუბში (მიხაილოვის ქუჩა № 29), გაიმართება სეირნობა ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღე ღამეში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 8 ხოლერიანი და 4 საეჭვო. გარდაიცვალა 7 კაცი, მორჩა და გამოეწერა 2 კაცი. 25 ივლისისთვის საავადმყოფოში იმყოფებოდა 180 კაცი ხოლერით ავადმყოფი და 26 საეჭვო.

◆ **ქუთ. გუბ. რუსული ნაციონალური საბჭოს** მიმართა კავკასიის რუსულმა ეროვნ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრას საქართ. სწავლა განათლების სამინისტროს წინაშე გახსნას ქუთაისში რუსებისათვის საშუალო სასწავლებელი საქართველოს რესპუბლიკის ხარჯით და დაუთმოს ამისათვის ვაჟთა გიმნაზიის შენობის თავისუფალი ნაწილი.

◆ **მუშათა კლუბში** (მიხ. ქ. № 65) დღეს გაიმართება რუსული წარმოდგენა. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

◆ **ტფილისის დეპოს** აღმასრულებელ კომიტეტში ინახება ნაპოვნი პასპორტი ალექსი მიხაილისძე ერმილოვისა. პატრონს შეუძლია მოიკითხოს.

კრებები და მიტინგები.

კვირას, დილის 11 საათზე, პროფესიონალური კავშირების საბჭოს საერთო დარბაზში (პეტრე დიდის ქ., № 18), მეორე სართულში მოხდება საერთო კრება ლიმონათის ქარხნებში მომუშავეთა კავშირის წევრებისა. სთხოვენ ყველა წევრებს კრებას დაესწრონ.

— ალ. მაისურაძის გუნდი დაიწყებს მეცადინეობას 10 აგვისტოდან (ახ. სტილით). მისივე ხელმძღვანელობით სდგება აგრეთვე განსაკუთრებით ქალთა გუნდიც. მიღება და ჩაწერა შეიძლება მამადავითის ქ. № 52 სამოქალაქო სკოლის შენობაში.

— შაბათს, 27 ივლისს დღის 5 ნახ. საათზე, მე 2 რაიონის კოლექტივში (სახალხო სახლის ეზოში) დანიშნულია გაერთიანებული კრების—თფილისის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებისა ქალაქის ქალთა კომიტეტის ასარჩევათ. სთხოვენ დასწრებას ყველა ამხანაგებს.

— ორშაბათს, ივლისის 29-ს, საღ. 8 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის ქ. 91) შესდგება „ცენტრო-კლუბის“ კრება სხვადასხვა ყურადსაღები კითხვების გასარჩევად.

— ხვალ, 28 ივლისს, დილის 9 საათზე, კოლექტივის ბინაზე, დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა და აღნიშნულ რაიონის (მე-4 და მე-5 უბნები) ყველა მოწინავე ამხანაგების შეერთებული თათბირი.

მოვალეობის მსხვერპლი

ამხ. იესე ლევანის ძე ვასაძე.

ივლისის 17, საჩხერის რაიონში ბრბოებთან შეტაკების დროს, გურიის საგანგებო რაზმმა დაჰკარგა ამხ. იესე ლევანის ძე ვასაძე. ის ჩოხხათის საზოგადოების ღარიბი ოჯახის შვილი იყო. მამამ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი დასტოვა დედისამარა, რომელმაც ეს ერთად-ერთი ვაჟი დიდის ვაი-ვაგლახით გამოზარდა. ჯერ კიდევ ყმაწვილი იესე ცნობილი იყო, როგორც სამაგალითო ნიჭიერი, წყნარი, საქმეში აუჩქარებელი და უკან დაუხეველი ახალგაზრდა. მე მახსოვს ის მოწაფეობის დროს მასწავლებლის გვერდით, როცა სხვებს მასწავლებელი იმაზე გვითითებდა, როგორც საუკეთესოზე.

1904—05 წ. წ., როცა გურიაში მოძრაობა დაიწყო, სოფლელთა შორის მან პირველმა იდვა თავზე მოძრაობისთვის ყოველმხრივი დახმარება. თუმცა ამ დროს ის კიდევ ახალგაზდა იყო, მარა ადგილობრივი ორგანიზაციები მას ავალებდენ უფრო რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეებს. თავისი მტკიცე ხასიათით, სამაგალითო ენერგიით და საქმის სიყვარულით აღვსილი იესე, ყოველივე დავალებას პირნათლად ასრულებდა და მიტომ იყო, რომ დღეს ის თავის საზოგადოებაში ითვლებოდა ერთ ერთ ს. დ. მ. პ. მოწინავე წევრათ. როცა ოსმალეთის სახით ამიერ-კავკასიას შავი დღეები დაუდგა, იესე პირველი ამხნევებს ამხანაგებს და მოხალისეთ ჯარში მიდის. ის მას შემდეგ ოსმალეთთან შერიგებამდე სანგრებშია და ჯ.-კ. მძიმე უღელს ეწევა. ამ ომიდან თავის ტანჯულ კერას უბრუნდება. დაშინებულ მოხუც დედას, წლოვან ცოლ-შვილს ამხნევებს და მათში ოდნავი სიხარული შეაქვს. განგებას კი სხვაფერ მოუწყვია იმისი საქმე. ფრიად ხანმოკლე დარჩა სიხარული მისი ოჯახის. უმაგალითო ანარქიამ გამოიწვია პარტიის მობილიზაცია და, მუდამ პარტიის დისციპლინის მატარებელი იესე იქით მიდის, საითკენაც მოვალეობა მას თხოულობს. ხულიგანების მიერ გამოსროლილმა ტყვიამ არ დაინდო ეს ჩაგრული, ხალხისთვის თავდადებული ადამიანი. ის დაეცა. დაიკარგა დედას დედის ერთა. იმ დედას, რომელმაც სიყრმის დღენი ობლების აღზრდას შესწირა, იესემ დაუტოვა სამი მცირეწლოვანი ობლები.

რითი უნდა ვანუგეშოთ ეს მუდამ ტანჯული მოხუცი? ჩვენი ნუგეშია: რომ ყველანი, ვინც კი ვიცნობდით იესეს, ვეტყვით: ჩვენ ვართ შენი შვილები; ჩვენ შენთან ერთად არ დავივიწყებთ ძმას და ამხ. იესეს, და, თუ მან პირველმა მიუშვირა თავისი მკერდი სამშობლოს დამღუპველ ტყვიას, ჩვენც მზათ ვართ ასევე მოვიქცეთ, თუ ეს საჭიროებამ მოითხოვა, მიუდგომელ ისტორიის ფურცლებს დაამშვენებს ჩაგრულო დედავ შენი სახელი, რათა ნამდვილმა დედამ სამშობლოს ნამდვილი მოქალაქე აღუზარდე!

ამხ. იესე! დემოკრატიის ტანჯულმა ოჯახმა შენში დაჰკარგა საამაყო წევრი და ცივი სამარისკენ გლოვით გაგაქანა, მარა იქ მხოლოდ შენი ცხედარი წავიდა. შენი ფაქიზი სული კი აქ, ჩვენში გაუქრობელ ლამპრათ გადაიქცა, რომელიც არ ჩაქრება მანამ, სანამ იარსებებს დემოკრატია.

გვარდიის მონდობილობით
ნ. კვერენჩხილაძე.

სოფ. ქალა.
24 ივლისი.

რას ვთხოულობთ ჩვენ?

(ბეჭდვითი საქმის მუშათა საყურადღებოთ).

ეს ერთი ხანია ადგილობრივ გაზეთებში პროფესიონალურ კავშირების შესახებ წერილები იბეჭდება. ამ მხრივ „ტრუდოვოე ზნამიის“ თანამშრომლებმა ყველაზე მეტი სადემაგოგიო მასალა იშოვეს. წერილს წერილზე ბეჭდავენ და აურებელ გესლსა და შხამს ანთხევენ გაზეთის ფურცლებზე.

რამ გააწიწმატა ეს ხალხი? რა იყო ამის მიზეზი?

საქმე შემდეგშია: საინციატივო ჯგუფის მიერ 12 ივლისს მოწვეულ იქნა თფილისის ბეჭდვითი საქმის ქართველ მუშათა საზოგადო კრება, დღის წეს-რიგში ერთი კითხვა იყო დასმული: პროფესიონალური კავშირი და ჩვენი დამოკიდებულება მასთან. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმათ დაადგინა: ქართული ენა სხვა ენებთან ერთად მიღებულ იქნას სავალდებულო ენათ, როგორც პროფესიონალურ კავშირის საქმის წარმოებაში, ისე საზოგადო კრებებზე.

ეს არის და ეს ჩვენ ვთხოულობთ, რომ ქართული ენა სხვა ენებთან ერთად სავალდებულოთ გახდეს.

რამ გამოიწვია ამის აუცილებლობა?

თუ გადავავლებთ თვალს ჩვენი პროფესიონალურ კავშირის მოძრაობას და მოქმედებას, დავინახავთ, რომ ჩვენი კავშირი ვერავითარ შემოქმედებით მუშაობას ვერ ეწეოდა, მისი მოქმედება მოდუნდა, მოეშო. ერთხან ფრაქციონურ კინკლაობის ბუდეთაც გადაიქცა.

ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირში დაახლოვებით 1200 წევრია—ქართველები, სომხები და რუსები, რომელთა რიცხვი თითქმის თანასწორათ არის დანაწილებული. მიუხედავათ ამისა, ორ-მესამედ წევრებისას პროფესიონალურ კავშირში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავთ.

ეს არც გასაკვირალია. რუსული ენის უცოდინარობამ, რომელი ენაც გაბატონებული იყო და არის კავშირში, ბევრი მუშაკი დასტოვა პროფესიონალურ კავშირის გარეშე. სამაგიეროთ, ის კი, ვინც რუსული იცოდა, რა გინდ უნიჭო და პროფესიონალურ კავშირისთვის გამოუსადეგარი ყოფილიყო, აქ პირველ ადგილს იჭერდა.

სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ სომეხი მუშები და რამდენიმეთ ქართველებიც პროფესიონალური კავშირისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენენ, ეს კი კავშირზე ცუდ გავლენას ახდენს; თვით გამგეობაც ვერ არის ყველას ნდობით აღჭურვილი.

ეს რომ ასეა, შემდეგიდანაც მტკიცდება: „ტრუდოვოე ზნამიის“ მე-24 ნომერში გვეკამათება რა ჩვენ, ბერგმანი შემდეგს მოგვითხრობს: 1917 წელს სომეხ ასოთ-ამწყობებმა ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირს საყვედურით მიმართეს, ვითომ კავშირი მათ ინტერესებს არ იცავდეს. და თანაც გასვლით დამუქრებულანო. ამას „კომუნისტი“ ბერგმანი ნაციონალურ განგაშათ სთვლის.

მაგრამ ვიკითხოთ: როგორ მოხდა, რომ ქართველი და სომეხი მუშები ნაციონალისტები არიან, ხოლო რუსი მუშები ინტერნაციონალისტები!

ეს ისე მოხდა, რომ ქართველმა და სომეხმა მუშებმა რუსული ენა „ინტერნაციონალურ“ ენათ არ მიიჩნიეს.

და აი სწორეთ ამ „ინტერნაციონალურმა“ ენამ ბევრი გულწრფელი მუშაკი განდევნა პროფესიონალურ კავშირიდან. ასეთი მდგომარეობა კი მუშათა კლასისათვის და, მით უმეტეს კავშირისთვის—დამღუპველია. ამიტომ, თუ გვინდა, რომ კავშირის მოქმედება გაცხოველდეს, გამგეობა ყველას ნდობით სარგებლობდეს, ამისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ კავშირი მის წევრებისთვის მისაწვდომი გახდეს. ეს კი, ჩვენის აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა პროფესიონალურ კავშირის საქმის წარმოება და საზოგადო კრებები მის წევრის გასაგებ ენებზე იქნება წარმოებული.

დემოკრატიის ამ სამართლიან მოთხოვნას მოწინააღმდეგენი ნაციონალისტურ თვალსაზრისით ხსნიან.

სრულიათ სამართლიანათ შენიშნავს ჩვენი გაზეთი „ერთობა“ როცა სწერს: „ყველა ჯურის მოხელე და შოვინისტი დემოკრატიის მოღალატეობას გვაბრალებს მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგებარ უცხო ენის მაგიერ ჩვენ ვცდილობთ ხალხისათვის გასაგები ენა გავხადოთ სავალდებულოთო“.

ეს სწორეთ ჩვენი სათქმელია. დიახ, ჩვენც გვინდა და მოვითხოვთ პროფესიონალურ კავშირში მის წევრების გაუგებარ ენის მაგიერ მათთვის გასაგები ენები შემოვიღოთ.

ამაზე ვიცი რუსულათ „გაწვრთნილები“ გვეტყვიან: ვინ გიშლით, რომ იმ ენაზე ილაპარაკოთ, რომელიც თქვენ გესმით და გეხერხებათო.

თუ რამდენათ არ გვიშლიან იმ ენაზე ლაპარაკს, რომელიც ჩვენ გვესმის და გვეხერხება, ამის შესახებ კარგა საკმაო ნიმუშები მოიყვანა ამხ. გ. მ. გაზეთ „ერთობაში“. მაგრამ მე მაინც მინდა ერთი ნიმუში კიდევ მოვიყვანო: გაზ „ტრუდოვოე ზნამიაში“ „ინტერნაციონალისტი“ სე—ვა სწერს: ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინეთ ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრებაზე გამოვიდა ერთი ამხანაგი მენშევიკი და უწინადადებოთ ქართულათ დაიწყო ლაპარაკიო.

აი ხედავთ „ვისაც რა ენაზე ჰსურს, იმ ენაზე“ როგორ გვალაპარაკებენ!

გვეუბნებიან: საჭიროა ერთად, შეთანხმებით მუშაობაო. კეთილი და პატიოსანი. ამის წინაალმდეგი არავინ არ არის, მაგრამ ნუ თუ ამისთვის ისაა საჭირო, რომ ჩვენ გავჩუმდეთ: ან ნუ თუ როცა სუყველანი რუსულათ ვილაპარაკებთ მაშინ თანხმობა იქნება, თუ არა და არა?!

„ინტერნაციონალისტი“ სე—ვა და „კომუნისტი“ ბერგმანი ნაციონალისტობას გვწამებენ და, ვითომ, ეროვნულ შუღლს ებრძვიან. ბ ნი სე—ვა ერთ-ერთ თავის წერილს ასე ათავებს: ძირს ნაციონალური შუღლიო.

მერე იცით, ამას ვინა სწერს; ეს ის ვაჟბატონია, რომელიც რუსულ ენას „ინტერნაციონალურ“ ენათ ასაღებს.

მაგრამ სადა აქვთ მათ ლოღიკა. როცა ჩვენ ვამბობთ, ყველასათვის გასაგები ენები უნდა იყოს ხმარებაში თქო, ესე იგი რუსული, ქართული და სომხური,—ისინი ჩვენ ნაციონალისტებს გვეძახიან, ხოლო როცა თვითონ მხოლოდ რუსულ ენას იცავენ—ეს ინტერნაციონალისტობაა.

ჰოი, საკვირველებავ!

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი.

ჩვენი აზრი ტარიფის შესახებ ასეთი იყო და არის კიდეც: ჩვენ მომატებას ვთხოულობდით დროებით. ესე იგი, ვიდრე პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასი დაიწევდეს. ჩვენ არ ვყოფილვართ მომატების წინაალმდეგი. პირიქით, ჩვენ 50 პროც. მომატებასაც კი მოვითხოვდით.

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა კი ჩვენ ის მოგვაწერეს, რაც ჩვენ არ გვითქვამს. ვითომ ჩვენ მომატების წინააღმდეგი ვიყოთ. ან კი რა ენაღვლებათ მათ ოღონდ ჩვენ დაგვამარცხონ და ყოველივე უმგვანო ჭორები გაავრცელონ ჩვენს შესახებ. მაგრამ ჩვენი დემოკრატია მათ კარგათ იცნობს და არც ასე ადვილათ გაებმება მათ ქსელში.

მიხ. თამაზაშვილი.

ხოლერა და მის წინააღმდეგ ბრძოლა

დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვია ჩვენს ქვეყანას. საშინელი სენი კარს მოგვადგა. ის უკვე მუსრს ადენს ქალაქებში და სოფლად. მას არავისი შებრალება არ აქვს... ხოლერა საშინელ ომზეც კი უარესია. ხოლერის მსხვერპლთა სტატისტიკა რომ ხელთა გვქონდეს გავიგებდით, რომ ხოლერის მსხვერპლი თვით ომის მსხვერპლზედაც დიდათ მეტია.

ასეთი საშინელი მტერი გვეწვია და ისიც ასეთ დროს.

უსუფთაო ქვეყნებში საშიში, მუსრის გამვლები, მაშინ როცა განათლებულ ქვეყნებში მისი შიში სრულებითაც არ არსებობს!

ალბათ არის საშუალება ხოლერის წინააღმდეგ. ალბათ შეიძლება მისი თავიდან მოშორება.

ვისაც ჯერ არს ვერ უხსნიან ხალხს საქმის გარემოებას. აი ეს სენი უკვე მსხვერპლს მსხვერპლზე გვაცლის ხელიდან. აქ კი არავითარ მუშაობას მის წინააღმდეგ არა ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ხოლერიან ავადმყოფს დროზე დაადებენ. ხოლერიან ბარაკში წაიღებენ... შემდეგ ვკითხულობთ: ავად გახდა ასი, მოკვდა ოთხმოცდა ცხრამეტი. ეგ არის და ეგ. არც ლექციები, არც არავითარი განმარტებები, დარიგებები.

როგორ ჩნდება ხოლერა? ისე როგორც ბევრი სხვა ავადმყოფობა. რომელიმე პატარა, უჩინარი არსება (ბაცილა) მოხვდება ხოლმე ჩვენს სხეულში. თუ ამ არსებამ აქ იბარტყა, გამრავლდა ის ადამიანს ბოლოს უღებს. ამიტომ უნდა ვეცადოთ ეს ბაცილა ავაცდინოთ ჩვენს სხეულს. ამიტომ საჭიროა სისუფთავე სადგომის, ქუჩების და ყველა იმ ადგილების საცა ადამიანს ცხოვრება უხდება. უსუფთაობა ყოველგვარი ბუდეა, სამშობლოა ხოლერის ბაცილებისა.

ხოლო მეორეს მხრით თვით ჩვენი სხეული, აგებულობა ისე უნდა მოვაწყოთ რომ მას შეეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს, მოკლას, მოსპოს თუ რაიმე ბაცილა გვესტუმრა.

განსაკუთრებით ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კუჭის ზოგიერთ მუშაობას.

ამიტომ უპირველესად ყოვლისა საჭიროა სასმელ-საჭმლის ზომიერათ ხმარება.

ბევრს ჰგონია, ვითომ ღვინო-არაყი ჰკლავდეს ხოლერის ბაცილებს.

ბევრსა ჰგონია, რომ ღვინო-არაყი ამაგრებს ჩვენ სხეულს.

ეს შეცდარი აზრია.

რამდენათ დაუძლურებულ, დასუსტებულ ჩვენ სხეულს არგებს და რამდენიმეთ ამაგრებს ღვინო-არაყის ძლიერ ცოტა მიღება—ისე ჯანმრთელი ადამიანისათვის ზედმეტი ღვინო არაყი ძლიერ მავნებელია.

დილა სალამოს თუ სხეულს ცივ წყალში ბანაობას მივაჩვევთ, ეს არის საუკეთესო საშუალება ჯანმრთელობის შესაძენათ.

ხოლო თუ საბანაოთ გარემოება ხელს არ გვიწყობს, საკმარისია ცივ წყალში დასველებული ტილოთი მთელი ტანი მაგრა დაიზილოთ. და ამის შემდეგ ასე, ათი თხუთმეტი წუთი სუფთა ჰაერზე, შეძლება ფანჯარა გაღებულ ოთახშიც—ტანზე ჩაუცმელმა სხვადასხვა ნაირი გიმნასტიკური ვარჯიშობა არ დაიზაროთ.

ყველას მოეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს საერთოდ.

ხოლო სხეულის—ტანის—სუფთად შენახვა კი ყველაზე უსაჭიროესია.

ზემო აღნიშნული ცივი აბანო, ან სველი ტილოთი სხეულის გაბანა დღეში ორჯერ, მერე ჰაერის და მზის აბანო ფაქიზათ, სუფთად ინახავს სხეულს. მარა არის კიდევ ერთი გარემოება საჭირო ამისთვის—ღამე არ უნდა დაწვე იმ საცვლებში, რომელიც დღე ატარე.

დღე სიარულის, ან მუშაობის დროს ხომ ოფლი მოსდის ადამიანს. ამ ოფლიან საცვლებში ძალი მავნებელია. უნდა იქონიოთ სალამური პერანგი.

ეს ყველას შეუძლია. ღარიბსაც და მდიდარსაც ორი პერანგი ყველას მოეპოება.

ერთი სიტყვით თუ მოვინდომებთ ხოლერა თუ სხვა ავადმყოფობასთან ბრძოლა ადვილია.

ხოლო დღეს ხოლერა უკვე თავისას შვება.

საჭიროა ქალაქმა, ექიმთა საზოგადოებამ, მთავრობამ მიიღონ სენის მოსასპობათ ყოველი ზომები. ექიმმა ნ. რუხაძემ „ერთობის“ 149 ნომერში უკვე აღნიშნა რამდენიმე საჭირო მოთხოვნილება ხოლერასან საბრძოლველათ.

ამას უნდა დაუმატო, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალაქის სისუფთავეს. სასმელ საჭმელის ვარგისობას. ავადმყოფებისათვის დროზე დახმარების მიწოდებას.

ავჭალის თუ სხვა სასმელი წყლების გამოკვლევა-გაწმენდას.

უნდა დაინიშნოს საგანგებო პირები, ან კომისიები, რომელნიც უნდა ათვალიერებდეს ქალაქის ყველა ნაწილს, ეზოებს, სახლებს, სასადილოებს, საჩაიებს. ქუჩები უნდა გაიწმინდოს და უხვად მორწყულ იქნას... სისუფთავე, სისუფთავე და სისუფთავე ყველგან და ყოველთვის და ხოლერა ჩაბარდება პატრონს—წავა იქით, საიდანაც მოსულა.

ს. დოლიძე.

რკინის გზაზე

რკინის გზის სახურსათო კომიტეტი.

ამ კომიტეტის დანიშნულებაა მიაწოდოს რკინის გზელებს რაც შეიძლება საღი და დაკლებულ ფასებში სურსათი. სინამდვილეში სულ წინააღმდეგი ხდება. ხშირათ მოსამსახურეებს გაცილებით მეტ ფასში უხდებათ ამა თუ იმ საქონლის შეძენა, ვიდრე ბაზარზეა. ამის მიზეზათ ჩაითვლება ის, რომ კომიტეტი არ არის ორგანიზაციულათ კარგათ მოწყობილი. ხშირათ ესა თუ ის აგენტი კომიტეტისა უგზო-უკვლოთ იკარგება და თან მიაქვს ათასობით ფული. მერმე ვინ უნდა გადაიხადოს დატაცებული ფულები? ეს ფული აწვება კისერზე გადასახადათ თვითეულს ჩვენგანს—მოსამსახურეებს. ვსთქვათ, რომ დაიკარგა ათიათასი მანეთი. ამ ფულს კომიტეტი აწერს საქონელს და ინაღდებს მყიდველებისაგან. ეხლა რას უშვრება კომიტეტი მონაგებ ფულს? კომიტეტი არსებობს რამოდენიმე წელია და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ანგარიში არ გამოუქვეყნებია. მოგება არც ისე პატარა იქნება, რომ კაცმა ყურადღება არ მიაქციოს. მაგალითად, ერთი კვირის წინათ ესა თუ ის საქონელი იყიდებოდა 30 მანეთათ, დღეს კი ჰყიდიან 50 მანეთათ, საქონელი კი ერთდროულათ ნაყიდია. ამას წინათ კომიტეტმა მოაგროვა ფული მოსამსახურეთა შორის და შეიძინა სხვადასხვა ნივთები უკვე გაუქმებულ „ზემგორის“ კანტორისაგან. ეს ნივთები უნდა დაერიგებია კომიტეტს მოსამსახურეებისთვის იმ ფასში, რა ფასშიაც მან შეიძინა. ნაწილი საქონლისა მართლაც დაურიგა მოსამსახურეებს და ნაწილი კი გაყიდა. მერმე არ იკითხავთ, რა ფასებში მიჰყიდა მოსამსახურეებს ეს ნივთები? დამერწმუნეთ, რომ ბაზარზე გაცილებით ბევრათ იაფათ შეიძენდენ, ვიდრე იქ.

საჭიროა ეს კომიტეტი სრულებით გაუქმდეს და მის ალაგას დაარსდეს კოოპერატიული დუქანი არსებულ წესებით, რომელშიაც შევა წევრებათ თვითეული მოსამსახურე. ეს კოოპერატივი გახსნის განყოფილებებს საჭირო რაიონებში და ამნაირათ მოსამსახურეები ზარალს და მოგებას ერთნაირათ გაიყოფენ და არც ისეთი იჭვის თვალით შეხედავენ მას, როგორც დღეს უყურებენ არსებულ კომიტეტს. ცოტა რამ არსებულ ეგრეთწოდებულ სასურსათო ქვეკომიტეტებზე. ამ ქვეკომიტეტების მოქმედება გაცილებით უფრო აუტანელია, ვიდრე ზემო დასახელებულ კომიტეტისა. აქ მოსამსახურეები უფრო მეტათ იყვლეფებიან, ვიდრე იქ. ამისათვის ქვეკომიტეტების შემდეგში არსებობა უფრო მეტი ცოდვა იქნებოდა, ვიდრე კომიტეტისა. ამისათვის, როგორც ზევით ვსთქვი, თუ დაარსდება მოსამსახურეთა კოოპერატივი ეს ქვეკომიტეტები თავისთავათ გაუქმდებიან.

კო—კო.

ჯარის-კაცთა წერილები

გენერალმა მაზნიაშვილმა დაარსა მოძრავი სახელოსნო, პირველი დივიზიისა. ამ სახელოსნოს მიზანია, რომ გაწმენდილი, გასწორებული, კარგად მსროლელი იარაღი მიაწოდოს მებრძოლ ჯარს. უდიდესი მნიშვნელობა მისი გამოიხატება იმაში, რომ ის მოძრავია: დღეს, მაგალითად, ქუთაისშია და იქ აკეთებს თოფებს და ტყვიისმფრქვეველებს, ხვალ საჭიროებისდა გვარად შეუძლია იყვეს ლანჩხუთ-ნატანებში და სხვაგან. რაც ეს სახელოსნო დაარსდა არ არის დიდი ხანი და მოთავსებულია დიდ ვაგონებში, მუშაობენ სპეციალისტები. გამგეთ არის დანიშნული ვლადიმერ ჯინჭარაძე, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს. კარგი განწყობილებაა აგრეთვე თვით მუშებშიც, ისინი დაინტერესებული არიან რევოლიუციის სასარგებლოთ, რაც შეიძლება მეტი ენერგია გამოიჩინონ. ეს სახელოსნო ივლისის პირველ რიცხვებში იყო სამტრედიაში, იქ გააკეთა თოფები და წავიდა ქუთაისში, და ეხლა იქ განაგრძობს მუშაობას. იქ რომ ერთდროულათ გააკეთებს იარაღებს, მერმე წავა, სადაც შტაბი უბრძანებს ამავე საქმეზე. ჯერ კიდევ ახალი დაარსებულია, მაგრამ ის უკვე იპყრობს კერძო პირთა და სხვადასხვა დაწესებულებათა ყურადღებას.

საჭიროა ყველა დაწესებულებებმა ხელი შეუწყონ ამ ახალ სახელოსნოს და მისცეს საშუალება უფრო ნაყოფიერ მუშაობისა რევოლიუციისა და ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო სახელოსნოში მომუშავე მოხელეების მისწრაფება კულტურულ მუშაობისაკენ. მათ ერთ-ერთ კრებაზე დაადგინეს ენერგიულათ იმუშაონ იარაღებზე; თავისუფალი დრო მოახმარონ კულტურულ-პარტიულ მუშაობას, რისთვისაც დაადგინეს, რომ ყოველდღიურად შეძენილ იქნას ჟურნალ-გაზეთები, რომ არ ჩამორჩნენ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობას.

ჯ.-კ. ამბერკი ქანთარია.

საპროტესტო წერილი.

ჩვენ მეშვიდე როტის, მეშვიდე ქართულ პოლკის ჯარის კაცები ზიზღს ვუცხადებთ იმ ამხანაგებს, რომლებმაც ისარგებლეს მოკლე ვადიანი თავისუფლებით და მერმე უკან აღარ დაბრუნებულან. ჩვენ მოვითხოვთ მათგან დაუყონებლივ ჩადენილ დანაშაულობის გასწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გამოვაქვეყნოთ და ვუწოდოთ შესაფერი სახელი.

დღეს ყველამ უნდა ვიცოდეთ ჩვენი მოვალეობა და კიდევაც უნდა ვასრულებდეთ პირნათლად მას.

საწყალი მუშა.

სად. აშაგა სარალი.

სააღ.-მამულო რეფორმა

სოფ. გორა ბერეჟოული (გურია). ავირჩიეთ საადგილ-მამულო კომიტეტები და მიწის განმანაწილებელი კომისია. ჩოხატაურის რაიონში თითზე ჩამოსათვლელია მემამულე 40 ქცევა მიწა, რომ ჰქონდეს სახნავ სათესი. სოფელ გორა-ბერეჟოულში მამული ჩამოერთვა ანდრია ერისთავს, დაახლოვებით 10 დესეტინა, დიმიტრი ერისთავს—10 დესეტინა. სოფელ გორა-ბერეჟოულში ჩამოსახლებულ მირიან ჭანიშვილს ჰქონდა საკუთარი 43 ქცევა მიწა. მას უნდა ჩამორთმევოდა 20 ქცევაზე მეტი მიწა და გადასულიყო ხალხის ხელში, მირიანმა კი ის მიწა, რომელიც უნდა გადასულიყო ხალხის ხელში, მოასწრო და ეს მამულები გადასცა თავის გათხოვილ დას და სიძეს კობიძეს. კობიძე წინად არ სარგებლობდა იმ მიწით, რომელიც მას გადაეცა, ამისათვის მირიან ჭანიშვილის მოქმედებას სოფელი გორა ბერეჟოული სცნობს არა საკადრისად და ყოველივე კავშირს ვწყვეტთ მასთან.

გორა ბერეჟოულის სოფლის მონდობილობით **სევასტი წულაია, იოსებ ბერიძე, სიმონ მეფარიშვილი.**

ს.-დემ. პარტიაში

ხაშური. ამ თვის 13 ქ. ხაშურში მოწვეულ იქნა პარტიული კრება, სადაც ამხ. ს—ძემ საოლქო კომიტეტის სახელით მოხსენება წაიკითხა. როგორც სჩანს ამხ. ს—ძის მოხსენებიდან, საოლქო კომიტეტს უკვე ზომები მიუღია დაგზავნოს სოფლად პროპაგანდისტები და ძველებურად გააჩაღოს მუშაობა. ღირს შესანიშნავია ეს ნაბიჯი; საჭიროა საოლქო კომიტეტმა მალე მოაწყოს ეს საქმე

ამხ. ს—ძემ სთქვა, რომ საოლქო კომიტეტს არ ჰყავს სრული კომპლექტი პროპაგანდისტების, რომ ყოველ რაიონში დანიშნოს თითო-ოროლა კაცი, ამისათვის მან მიმართა აქაურ ორგანიზაციას გამოენახა თავის წრეში ისეთები, რომლებიც სურვილს განაცხადებდენ სოფლად მუშაობისა [illegible] კომიტეტმა მოაწყოს [illegible] დობის მოსამზადებლად. [illegible] მხრივ ჩვენ მივსცემთ ახალგაზრდობას პარტიულ განათლებას და მეორეს მხრივ,—მათი საშვალებით გლეხობასაც სინათლეს მოვფენთ.

ა—ნ.

პროვინცია

ქ. თელავი. მივიღეთ თუ არა ცნობა, რომ ხალხის მოღალატეებმა შეუგნებელი გლეხკაცობა დუშეთის მაზრაში ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ ააჯანყესო, თელავის სახალხო გვარდიის ერთი ნაწილი მყისვე ფეხზე დადგა, ჩაჯდა იარაღში და ბრძოლის ველისაკენ გაეშურა.

რევოლიუციის დარაჯთ აბა გული როგორ გაუძლებდათ იმ დროს სახლში მჯდარიყვნენ, როდესაც თფილისის სახალხო გვარდია დუშეთის მაზრაში უკვე მტერს სამკვდრო სასიცოცხლოთ ეკვეთა!..

თელაველი გვარდიელები ჯერ კიდევ მაისში გაეცნენ თფილისელ ამხანაგებს ბორჩალოს მაზრაში ბრძოლის დროს. და აი ახლა ისინი ხელ-მეორეთ შეხვდებოდენ ერთმანეთს დუშეთის მაზრაში.

მიეჩქარებოდათ!.. ერთი რამ დაგვიბარეს: „ჩვენ ვიბრძოლებთ, არ შეგარცხვენთ, ხოლო მიხედეთ ჩვენს უპატრონოთ დარჩენილ ცოლ შვილს, შიმშილით არ დაგვიხოცოთ“!

და მართლაც უპატრონოთ დარჩა მათი ცოლ-შვილი. ისინი უმეტეს ნაწილათ ხელოსნები არიან. თავის პატარა სახელოსნოში მუშაობენ და ამით არჩენენ ცოლ შვილს. წავიდენ. სახელოსნოები ან დაჰკეტეს, ან სხვებს გადააბარეს და მაშასადამე, დღიური შემოსავალიც მოესპოთ.

კომისიამ 14 მკათათვეს გამართა კიდეც სეირნობა. კომისიის წევრები ღრმათ დარწმუნებული ვიყავით, რომ თელავის საზოგადოების შეძლებული ნაწილი გამოგვეხმაურებოდა. მით უმეტეს ვიყავით ამაში დარწმუნებული, რომ ანარქიის ქარიშხალი დუშეთის მაზრიდან თიანეთის მაზრასაც მოედვა და საკმარისი იყო ხალხის მტრებს დუშეთის მაზრაში გაემარჯვნათ, რომ საერთო უბედურება თელავის მაზრასაც მოსდებოდა. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა. ჩვენი საზოგადოების შეძლებულმა ნაწილმა სრულებით დაკარგა უნარი თავის ცხვირს იქით გაიხედოს.

„ვისარგებლოთ შემთხვევით, გავძარცოთ სახელმწიფო, გავძარცოთ კერძო პირი, ჩვენს დღიურ ჯიბის ინტერესებს დაენაცვლოს სახელმწიფოებრივი ინტერესები და ერთი სიტყვით ყველაფერი რაც ჯიბის გარეშეა“—აი საზოგადოების ამ ნაწილის სამოქმედო პროგრამა.

გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ გამართულ სეირნობას მხოლოდ დემოკრატია დაესწრო. ისინი, ვისი ძმები, შვილები და ნათესავები არიან წასული. სხვებს თითო ოროლას თუ დაინახავდით. ისეთი შეძლებული პირები, როგორიც არიან ბ. ბ. კობტიევები და ძმანი საგანგებოთ გაგზავნილ ბილეთების აღებაზედაც კი უარს ამბობდენ.

მაგრამ კიდევ კარგი, რომ მათთვის მაინც არ შეეშალათ ხელი ბოლომდე დასწრებოდენ სეირნობას, ვინც მოვიდენ ზოგიერთ პროვოკატორებს.

დაიწყო თუ არა სეირნობა ორი ვაჟბატონი იშხანოვი და ერთიც სხვა აშკარა პროვოკატორული მიზნით შემოიჭრენ სეირნობაზე და ასტეხეს ჩხუბი. ვაჟბატონი იშხანოვი ორჯერ გაიყვანეს ბაღიდან, მაგრამ მესამედაც შემოიჭრა და როგორც პროვოკატორმა მიმართა იქ მოსეირნე მე-8 ქართულ პოლკის ჯარისკაცებს: „ამხანაგებო, მე ჯარისკაცი ვარ მცემენ და მომეხმარეთო“. ჯარისკაცებში ჩოჩქოლი შეიქნა და რომ იქ ამდროს არ ყოფილიყვნენ მაზრის კომისარი და აფიცრობა, მოსალოდნელი იყო სისხლის ღვრაც კი მოჰყოლოდა და ეს იმ დროს, როდესაც იშხანოვისათვის არც არავის უცემია და ეს ვაჟბატონი არც ჯარისკაცი ყოფილა. იშხანოვი დაიჭირეს, მისი საქმე უკვე რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადაეცა, მაგრამ სეირნობას ამით აღარაფერი ეშველა და ხალხი დაიშალა ნერვებ აშლილ-შეშინებული.

სეირნობამ 3118 მანეთი დასტოვა წმინდა შემოსავალი.

ერთი გვარდიელთაგანი.

დ. აბაშა (სამეგრელო). ერთ ჯგუფს აქ უნდოდა დაეარსებია სამშობიარო თავშესაფარი, კბილის საექიმო კაბინეტით და სხვა რაიონის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ განყოფილებით, მაგრამ აბაშის ვაჭართა ერთმა ჯგუფმა ერმილე გვაზავას, დიმ. წულეისკირის, სილ. უხანეიშვილის, ალანიას და პეტრე ქოიავას მეთაურობით ხელი შეუშალეს ამ საქმეს. დასაარსებლად უნდა შემდგარიყო ამხანაგობა, რომელიც აირჩევდა საკუთარ ხაზინადარს და შეიძენდა ინვენტარს ინიციატორ ბევრი ქალის დახ-

მარჯვით. ჩამოთვლილი პირები ზოგი გაკოტრების გზაზე მდგარი ვაჭარია, ზოგი ძველი შეძლებული ვაჭარი, რომელიც კაპეიკს კაპეიკზე ადებს და კულტურულ საქმეს არა თუ არ შეწირავს რამეს, ხელსაც კი უშლის. ამათ დაეზარათ სკოლის თანხის გამოტანა და სხვებსაც აუცრუეს გული ამ საშვილიშვილო საქმის დაარსებაზე. აქ სხვა კულტ. დაწესებულების აგებას რომ თავი დავანებოთ, იმ დაწესებულებებსაც ეგება წესი, რომელთა მოვლა-პატრონობა ამ ვაჭრების ხელშია. საკვირველია, რომ ამ სერიოზულ და გადამწყვეტ დროს აქ შემთხვევით დაკეტილი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გაღებას არა ეშველა რა. სამწუხაროა, რომ სამკ. გამგეობაში ექიმი გიორგი ივ. ჯორჯიკიაც შედის და მას ამ საქმისათვის თავი ვერ მოუბამს. ამ საქმეს გულგრილადვე ეკიდებიან დაბის ისეთი ავტორიტეტიანი ვაჭრები, როგორიც არიან: თეოფ. ძველაია, სიდო კაჭარავა, ბესო ტყებუჩავა და სხ. აქაური მოთავე მკვიდრ მცხოვრებლების უსიცოცხლობას ისიც ამტკიცებს, რომ ადგილობრივ ნორმალურ სასწავლებელს ოთახში ჩაკეტილი აქვს მუსიკა, მოწყობ. ახალგაზრდობას საშუალებას უსპობენ შეისწავლონ, ხოლო საქეიფოების დროს 700—1000 მან. აძლევენ დღეში მოწვეულ მუსიკას.

ეს იმით აიხსნება, რომ ნორმალურ ორკლასიან სკოლის პატარა მოწაფეები ფიზიკურად ვერ შესძლებენ მუსიკის შესწავლას, ხოლო ეს სკოლა ადგილობრივ გიმნაზიას არ უთმობს ამ მუსიკას. ყველამ იცის, რომ ამ კინკლაობით ზარალი მოსდის რაიონსაც და მუსიკის პატრონ სკოლასაც, მაგრამ საქმე მაინც ვერ მოაგვარდა. როგორც ამბობენ, მუსიკის ამოძრავებაში პასიურად იქცევიან ნორმ. სასწ. მასწ. დათ. მონიავა და ვლად. ჭანტურაია, რაც სამწუხაროა. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, აბაშის სახალხო სახლის სამშენებლო კომისიას გადაუწყვეტია მუსიკის შესყიდვა, რომ მუსიკა რაიონისთვის გამოსადეგი იყოს და მისი შემოსავალიც წამოიღოს ფონდს. საერობო არჩევნების სამზადისი სასურველად მიმდინარეობს. 28 ივლ. მოხდება არჩევნები. დასახელებული კანდიდატები ყველა მენშევიკებია. ს. დ. თხოვნით ხალხი შეთანხმების სიასაც ისე მისცემს ხმას, როგორც ჩვენს პარტიულად მარტო რომ გამოვსულიყავით. შეთანხმება მოხდა ს.-დ. და ს. ფ. შორის.

ფ—ლი.

სამიქაოს საზოგადოება (სამეგრელო). 14 ივლისს მოხდა სამიქაოს საზოგადოების საერთო კრება, უნდა გარჩეულიყო ერობის საკითხი. მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. ზაქ. ბიჭაშვილი მან განუმარტა ხალხს ერობის მნიშვნელობა და უმთავრესათ ახლა, როცა სოფელი მოცულია ანარქიით და არ ჰყავს პატრონი რომ სოფლის ცხოვრება ჩააყენოს ნორმალურ კალაპოტში. მომხსენებელმა განუმარტა არჩევნების ინსტრუქცია და მოუწოდა ხალხს, რომ 28 ამ თვეს, როცა იგინი წარსდგებიან საარჩევნო ყუთის წინ მოიგონონ ის პარტია რომელიც მათ ჭირში და ლხინში მუდამ გვერდში უდგა და მისცენ ხმა მის დასახელებულ კანდიდატებს. ამ კრებამ სახალხოთ სამიქაოს საზოგადოებიდან კანდიდატებათ დაასახელა სამაზრო ერობაში ხმოსნებათ ასარჩევათ. გიორგი ბოკერია, ლუარსაბ მიქაძე და ნიკოლოზ მიქაძე, რომელნიც არ არიან სოციალ-დემ. პარტიის წევრები და შესაძლოა რომ პარტიამ აბაშის რაიონში ესენი წ მოაყენოს კანდიდატებათ. ამის შემდეგ ამხანაგი ზ. ბიჭაშვილი აკეთებს მოხსენებას მომენტის შესახებ. რამოდენიმე შეკითხვების შემდეგ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია ერთხმათ „მოვისმინეთ რა მოხსენება და ვიღებთ რა მხედველობაში იმ საშინელ მდგომარეობას, რომელიც არის გამოწვეული საქართველოს ჩამორჩენილ კუთხეებში ანარქიის ბუდეებათ გადაქცევის გამო გამხრწნელ ბოლშევიზმის ქადაგების წყალობით, საერთო სასურსათო კრიზისის გამო, ვესალმებით ახლათ შედგენილ მთავრობას ნ. ჟორდანიას მეთაურობით და უსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიის საბედნიეროთ, ჩვენ მზათ ვართ მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ მთავრობას, როგორც ანარქიასთან ბრძოლაში, ისე დემოკრატიულ რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლათ“.

შაქრო ხიდისკარელი.

ფოთი. სოხუმთან მოკლულ ჯარისკაცის სანდრო ქადეიშვილის დაკრძალვის შემდეგ მშობლებმა შეაძლიეს პატივცემულ მღვდ. ზაქ. ცინცაძეს გასამრჯელო—ხუთი თუმანი, რაზედაც მან უარი სთქვა: „ასეთ შემთხვევებში მე ფულს არას დროს არ ვღებულობო“. გარდაცვალებულის მშობლებმა ეს ფული შესწირეს წ.-კ. საზ-ების სამკითხველოს, რაზედაც სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

შ.

სურამი. სურამის გარშემო სოფლებში აქა იქ ლტოლვილებს შორის გაჩნდა სხვადასხვა ავადმყოფობა. ადგილობრივ გამგეობამ ყოველი ღონისძიება იხმარა მის მოსასპობათ. ასე რომ არც სურამში და არც მათ მიდამოებში ავადმყოფობა და საშიში სენი არ სუფევს. სანოვაგე სურამში სხვაზე ხელმისაწვდენია, ე. ი. პური 2 მ. 50 კ.—3 მ., ხორცი გირ. 1—80 2 მანეთამდე ფასობს და სხვა. ღამე სინათლე ნაკლებია, რადგანაც ელექტრონის ძალა ნაკლებია. იმართება ხშირათ კლუბის ბაღში წარმოდგენები, სხვათა შორის 14 ივლისს გაიმართა ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენა, რომელმაც კარგად ჩაიარა და ხალხი ბლომათ დაესწრო, თუმცა სცენა ხელს არ უწყობს წარმოდგენებს. კლუბის გვერდზედვე იმყოფება საზოგადო სამკითხველო, სადაც იღებენ ქართულ რუსულ ყველა გაზეთებს, რითაც სარგებლობენ უფასოთ ყველა აქ მყოფნი. საერთოდ სურამში გრილა და სუფთა ჰაერია საპარაკოთ ხალხი ყოველ დღე მოემგზავრებიან საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან.

ე. ჯაჯანაშვილი.

სოფ. ახალ-დაბა (გორის მაზრა). ეს სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდის, უპურსათობის გამო. საკუთარი ჭირნახული არ ყოფილა სამყოფი. აქაური გლეხკაცობა აღელვებულია, რომ სადგურებზე ართმევენ ჭირნახულს რკინის გზის მილიციონერები და ვერ მოუტანიათ თავისუფლათ სხვა სოფლიდან თავიანთ სოფელში. საჭიროა თავისუფლად მოეწყოს სურსათის გატანა. ამის გამო აქ ათასგვარ გაუგებრობას აქვს ადგილი და ხშირად პროვოკაციის ანკესს ეგება გლეხობა. გლეხობამ უნდა შეიგნოს, რომ ყველანი ძმები ვართ, როგორც ქართველები ისე იმერლები და სხვა კუთხის მცხოვრები ქართველები. საჭიროა ერთად ვიმუშაოთ ჩვენი მთავრობის გასამაგრებლათ, რომ უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება. თორემ მტრობით საქმეს უფრო წავახდენთ. ჩვენ არ უნდა დავუჯეროთ ხალხში განხეთქილებას და შუღლს ვინც აგდებს. მაშინ ჩვენი ცხოვრება უკეთესად მოეწყობა.

მოაგარაკე.

ხონი. უჩვეულო შიმშილობაა, ფუთი სიმინდის ფასი ას მანეთამდე ავიდა, ფქვილი 130 მანეთია. პური ზოგიერთ სოფლებში შემოვიდა უკვე, მარა ბაზარში არ გამოაქვთ. იყო რამდენიმე შემთხვევა შიმშილით სიკვდილისა. სამეგრელოში სიმინდი არის, მარა მოთარეშე გმირების შიშით ვერ გამოუტანიათ, ბევრი გაჭირვებული მყიდველი ხულიგანებმა გაძარცვეს. კარგი იქნებოდა, რომ ბრბოების წინაამდეგ მომქმედ ჯარებს სიმინდის რეკვიზიციაც დაევალებოდეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სასურსათო კრიზისის ცოტათი მაინც განელება.

X.

ქართლი. ჩვენი სამშობლოს უფრო ჩამორჩენილ კუთხეთ ითვლება ქართლი. ჩვენ სახეში გვაქვს უფრო ქვემო ქართლის რაიონი. აქ შეხვდებით ისეთ სოფლებს, სადაც არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს. ამიტომ ხალხში ათასგვარ ჭორს და გაუგებრობას აქვს გასავალი. თავის და თავად ეს კუთხე, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეები, პოხიერია და მდიდარია ბუნებრივათ, მაგრამ ხალხი სიბნელის გამო მაინც ღარიბათ ცხოვრობს. არის ზოგიერთი სოფლები, სადაც უფრო კულტურული ცხოვრება დუღს, მაგრამ საერთოდ ქვემო ქართლი ჩამორჩენილია. ამ ბოლო დროს ხალხის თავისუფლების მტრების პროვოკაციას დიდი გასავალი აქვს და ბნელი ძალები ადვილათ ახერხებენ, რომ ხალხი მოატყუონ და აამხედრონ ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. ასე წარმოიდგინეთ, გლეხობა ამ ბნელი ძალებისგან ისეა ჩაგონებული, რომ ერობის არჩევასაც უარჰყოფდა. ერობა ეს გლეხთა თვითმართველობაა, ამით მათი საქმეები საერთოდ წინ წაიწევს და ცხოვრება კარგად მოეწყობა. გლეხობამ მას მხარი უნდა დაუჭიროს, რომ ჰქონდეთ გზები, არხები, ხიდები და ერთი სიტყვით სოფლის საერთო სამეურნეო მხარე კარგად მოეწყოს. ამიტომ ამ კუთხეს ჩვენმა მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და მრავალ დახმარებათა შორის უპირველესად ყოვლის ჩქარა მოაწყოს მართვა გამგეობა. კომისრები ყველგან კარგი დანიშნოს, რომ გლეხობამ აშკარად დაინახოს, რომ მას პატრონიც ჰყავს, რომელიც სამართალს დაიცავს და გლეხის მყუდრო ცხოვრებას არ დაურღვევს. სასოფლო კომისიამ ქართლს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და გააჩაღოს იქ კულტურული მუშაობა და ხალხი ორგანიზაციულ დარაზმოს, ჩვენ მთავრობას დაეხმაროს და აღმოფხვრას ხალხში ის ჭორები, რომლებიც პროვოკატორებმა და მატყუარა „ბოლშევიკებმა“ იქ გაავრცელეს. ამ მტკიცე მუშაობით ქართლიც თანდათან კულტურულად განვითარდება და მისი ცხოვრება განახლებული გზით წავა.

ვანო დურგლიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ახლო ნომერში მოათავსოთ „ერთობის“ მე-140—141 ნომრებში მოთავსებული წერილების საპასუხოთ შემდეგი: თანახმად შორაპნის მაზრის კომისარის ბრძანებისა, შეთანხმებით საგუბერნიო კომისართან და ყვირილის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან 26 ივანობისთვეს მე გავემგზავრე საჩხერეში იმ მიზნით, რომ საჩხერესა და მის რაიონისათვის აეყარა იარაღი. ჩემი მფრინავი რაზმი შესდგებოდა სულ 45 ცხენოსანისაგან, რომელშიაც იყო ორი ტყვიის მფრქვევლები. მისვლისთანავე თანახმად შემუშავებული გეგმისა, მე შევუდექი თვით საჩხერეში მცხოვრებლების იარაღის აყრას, რის შემდეგ უნდა გავსულიყავი ახლო სოფლებში და დამეწყო საქმის გაგრძელება, მაგრამ მიუხედავათ ჩემი კატეგორიული მოთხოვნისა ჭიათურის მუშათა და გლეხთა საბჭოს წევრებისა და საჩხერის კომისარის დაჟინებითი რჩევისა მე შევიჩერე საჩხერეში იმ მოსაზრებით, რომ ხალხი თავის ნებით ჩამაბარებდა იარაღს თუ სოფლებში გამართული იქნებოდა მიტინგები; მეც დავემორჩილე მათ მოთხოვნილებას და დავბანაკდით საჩხერეში. საუბედუროთ ჩემდა მთელი სამი დღით იქ ყოფნის დროს არც ერთ ამხანაგთაგანს ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს თუ ახლო მახლო სოფლებში რაიმე პროვოკაციულ მუშაობას ჰქონდა ადგილი და დეზერტირ ხულიგანთა შეიარაღებულ გამოსვლას. შეიძლებოდა რომ ადგილი ჰქონოდა მეტადრე მაშინ, როდესაც მთავრობის შეიარაღებული ძალა იარაღს ითხოვდა. მაგრამ ეს აიხსნება იმ ჭეშმარიტებით, რომ არც ჭიათურის რომელიმე რევოლიუციონურ ორგანიზაციას არა თუ პარტიული მუშაობისათვის შეეწუხებია თავი სოფლად, არამედ უბრალო ყურადღების ღირსიც არ გაუხადათ ახლო-მახლო სოფლები ამ მხრით მაინც და ბნელ ძალებსაც შეეძლოთ ჰქონებოდათ სრულებით თავისუფლად არა თუ ეფარფაშებიათ, არამედ თხრილებიც კი ეკეთებინებინათ საპოზიციო ბრძოლისთვის, რის შესახებაც დღეს აშკარათ ღაღადებენ ფაქტები. 28 ივანობისთვეს საბჭოს წევრი ბურჯანაძე გაემგზავრა სოფლათ მიტინგების გასამართავად და იმავ დღეს ჩემთან ბრბოდან მოდის ორი დელეგატი ჩემთვის უცნობი პირები და მეკითხებიან: თუ ვისგან ვარ გამოგზავნილი და რა დავალებით. მეც, რასაკვირველია, ავუხსენი მათ ყოველივე, როგორც ამას მოითხოვდა ჩემი მოვალეობა და თანაც მათი დარწმუნებისათვის უჩვენე მათ ყოველივე საბუთები ჩემი პირადობისა, რომ მე ვიყავი იმ მთავრობის წარმომადგენელი, რომლის მთავრობის შემადგენლობას არა ერთხელ და ორჯერ გაუცდია დევნა და კატორღები ხალხის ინტერესების დაცვისათვის. ამავე დროს რაღაც ინსტინქტიურად ვიგრძენი მათი არა კეთილ-სინდისიერობა და განვიზრახე მათი დატყვევება, რისთვისაც შევეკითხე საჩხერის კომისარს და გავუზიარე ჩემი შეხედულება, მაგრამ რადგან უკანასკნელმა მე დამარწმუნა, რომ ის პირადათ იცნობს მათ და მათ პოლიტიკურ მიმართულებას, მე ჩემი განზრახვა სისრულეში აღარ მომიყვანია. ბურჯანაძემ წასვლის დროს გამაფრთხილა და მითხრა, თუ საღამოს ვერ მოვიდოდა, ეს ის იქნებოდა, რომ მას „ბანდები“ დაიჭერდენ, ამისთვის მე შევეკითხე დელეგაციას, თუ რათ იგვიანებს ბურჯანაძე და ან რას აკეთებს თქო, რაზედაც მიპასუხეს, რომ ის ელოდება იარაღის მიღებას, რაზედაც ხალხის უმრავლესობა ამის თანახმა არისო. იყო ასეთი შემთხვევაც: მზვერავთა რაზმი, რომელიც შესდგებოდა 6 კაცისაგან, მოვიდა ჩემთან და გამიცხადა, რომ მათ შენიშნეს შეიარაღებული სოფლელები რამოდენიმე ვერსის სიშორეზე და როდესაც გამობრუნდენ, სროლა აუტეხეს. ამის გაგონე საჩხერის კომისარმა მილიციონერებს გაუწყრა და პროვოკაცია დასწამა, რისთვისაც ციხითაც კი დაემუქრა, თუ ჩემი წინააღმდეგობა არა—სისრულეშიაც უნდოდა მოეყვანა; ყოველივე ზემო ნათქვამისა მე, როგორც პატარა ადამიანს, უფლება მქონდა მეფიქრა, რომ დიდი თადარიგი საჭირო არ იყო და მასთან ერთად თუ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ბურჯანაძე მე სოფლიდან წერილს მწერდა, რომლითაც მამშვიდებდა და მატყობინებდა, რომ მიტინგმა სასურველი ნაყოფი გამოიღო და ხალხი მე ნებაყოფლობით იარაღს მაბარებსო. სრული უფლება მქონდა დავრწმუნებულიყავი, რომ საქმე მშვიდობიანად ჩატარდებოდა, მაგრამ თადარიგი შეიძლება სხვა გვარად, რასაკვირველია, დაცული იყო. დილის ათი საათის დასაწყისი იქნებოდა, როდესაც ჩემთან მოირბინა მილიციონერმა ჯაფარიძემ და აღელვებულმა მაცნო: შველა აღარ შეიძლება, რადგან დიდი ძალა „ბანდებისა“ გარს შემოერტყა საჩხერეს. მე არ დავბნეულვარ, ერთ წამსაც არ შევჩერებულვარ და ბრძანება გავეცი, რომ თავთავიანთი ადგილი დაეკავებიათ და მტრისათვის პასუხი გაეცათ. დელეგაცია ორი პირისაგან შემდგარი მოსულიყო სწორეთ იმ მიზნით, რომ ჩვენი ძალები აეწონ დაეწონათ და მათთვის მოხერხებულ დროს ჩვენზე იერიში მოეტანათ. მე იმ დროს კომისარიატში ვიმყოფებოდი და სწორეთ პირველი „ზალპი“ „ბანდებმა“ ამ შენობას მისცეს ჩვენებმა მოქმედება დაიწყეს. ახმაურდა ტყვიისმფრქვეველი, მაგრამ ძალა „ბანდებისა“ ძლიერ სჭარბობდა ჩვენს ძალას,—45 კაცი 8,000 წინააღმდეგ.

მეც გადავსწყვიტე სრულებით განადგურებას და არაფრის გაკეთებას, უკან დავხეულიყავით და თუ ძალებს შევკრებდი ჭიათურაში,—ეს უკანასკნელი მაინც გამომაგრებია, სანამ მაშველი ჯარი ქუთაისიდან მოვიდოდა და ამ მიზნით მოვახდინე შესაფერისი განკარგულება—უკან დახევა მოეხდინათ. ჩემს რაზმში ჩემს გარდა იმყოფებოდა სამი ოფიცერი: პორუჩიკი კალანდაძე, პოდპორუჩიკი ლურსმანაშვილი და პრაპორშჩიკი დავიშვილი, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ უკან დახევის ოპერაცია ერთი მუჭა ხალხისა მოეხდინათ. ერთი წამის დაკარგვა მე შეუძლებლად მივიჩნიე და იმ მოსაზრებით, რომ ჭიათურაში რაიმე ძალას მოვაგროვებდი, მას შევუტიე, რადგან ვიცოდი და ვიცი ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებით, თუ რას ნიშნავს ტელეფონებით ძახილი, მეტადრე ზოგიერთ ადგილებზე და რას ნიშნავს პირადათ მოთხოვნა. მე ამას მამოქმედებდა სწორეთ შექმნილი მდგომარეობა და საქმის თავის შემოვლა არა თუ ლაჩრობა და თავის გადარჩენის ინსტიქტი, ასე შეუძლია იაზროვნოს მართლა ლაჩარმა ვინც შექმნა ჩემს წინააღმდეგ ასეთი ჭორები—თავის ქვენა აზრების გასატარებლად. დიახ, მე მოვაშურე ჭიათურას, მაგრამ იქ არა თუ იმედი გამიმართლდა, არამედ ერთი შეიარაღებული მებრძოლიც არ აღმოჩნდა. მაშ, რა გზას უნდა დავმდგარიყავი—გავიფიქრე დამეკადა, მაგრამ რა უნდა გამეკეთებინა, ვერაფერი და ამიტომ ჭიათურელ ამხანაგების რჩევითა და თანხმობით მივაშურე ისევ შორაპანს, სადაც მელოდებოდა გვარდიელები და რისთვისაც ტელეფონის საშვალებით ორჯელ მივმართე ყვირილას და ქუთაისს, როგორც საჩხერიდან, აგრეთვე ჭიათურიდანაც—მაგრამ შველა კი არ სჩანდა და თავი კი ისე როგორც ერთს დაკოდილი მეგონა ბრძოლის ველზე და მაშველი ხელი არ სჩანდა. ჭიათურიდგან შორაპნამდის მგზავრობის დროს შორაპნელ და ყვირილელ ამხანაგებს ჩემს ძახილზედ საჩქაროდ ძალები შეეგროვებიათ და შორაპნიდან უკვე გასასვლელად ვემზადებოდით, რომ ყვირილიდგან ამოსულმა ამხანაგმა გვამცნო, რომ დამხმარე ჯარი უკვე ყვირილას უახლოვდება და ერთად წავხვალთო. ჩვენც მოწინავე ამხანაგებთან ერთად მოვილაპარაკეთ და შორაპანში შევიცადეთ, ჯარიც მოვიდა გუბერნიის კომისარის თანხლებით, რომლისგანაც მთელ საზოგადოების თანადასწრებით მივიღე სასტიკი საყვედური, თუ რათ გავბედე და გადვედი შეტევაზედ. განცვიფრებული და გულზე სევდა-მოწოლილი შევუერთდი ზედს, და ასე წავედით ჭიათურისკენ. მეორე დღეს ჩვენ მოქმედებაზე გადვედით. ვებრძოდით და მივიწევდით წინ. ვამჩნევდი და ვგებულობდი, რომ პირადმა მტრებმა საჩხერეში შექმნილი მდგომარეობის წყალობით ჩემს ირგვლივ ჭორები გაავრცელეს და ლამობდენ ჩირქი მოეცხოთ და მიეხწიათ საწადელს, გული თანდათან იკოდებოდა, ბრძოლის უნარი არ მეკარგებოდა, მაგრამ როგორც ფიზიკურად რვა დღის და ღამის წვალების გადამტანს, როგორც ფიზიკურად აგრეთვე სულიერათაც ერთი დღის მოსვენება მოვსთხოვე რაზმის ხელმძღვანელს მოქალაქე იზხნელს, თან მწარე ფიქრები გარს მეხვევნენ, თუ რით დავიმსახურე ყოველივე ეს, ნუ თუ ჩემი თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლით, რევოლიუციის პირველივე დღეებიდან, რომლის განმავლობაში არა ერთხელ და ორჯელ გადურბენია ჩემს თავზედ ცეცხლ და შეუპოვარ ტყვიას, საქართველოს რესპუბლიკის თითქმის უმრავლეს ადგილებში ხულიგნურ გამოსვლების დროს. ნუ თუ ამის ღირსი ვიყავი და ვარ? ვიტყვი თამამად—არა! და სირცხვილი მათ, ვინც—უსირცხვილოთ ლამობს დაამტკიცოს ჩემი ლაჩრობა და ღალატი ამხანაგებისადმი. შეშურდათ, ალბათ, ზოგიერთ სულ დაბალთ, რომ ჩემი თავდადებულ ბრძოლისთვის რამდენიმე სტრიქონით ქება მიძღვნეს „ერთობის“ ერთ ერთ ნომერში. ნუ თუ ყოველივე ეს დავიმსახურე მით, რომ საჩხერის მიდამოებში უაზროთ და უსარგებლოთ მტრის შეუგნებელ და ხულიგანთ ძლიერ ბრბოს არ გავაჟლიტინე მთელი ჩემი რაზმი. ან და შეიძლება ასეთი ჩემი მოქცევა ვინმეს მიზანშეუწონლად მიაჩნია! წერილის ავტორი „ალი-ხანი“ ბოდიშს ითხოვს, რომ ჩემზე ხშირად უხდება ლაპარაკი და დასძენს, რომ მე გავიმეორე ჩემი მოღალატური მოქმედება და სრულებით დაუკითხავათ მივატოვე რაზმი და წავედი. ნუ თუ ესეც მართალია? ნუ თუ მე მოღალატე ვიყავი, იცოდენ ჩემი ღალატი და არ ამჟღავნებდენ? მე მოვითხოვ ავტორისაგან მაცნოს ის პირი, რომელმაც ჩემს წინანდელ ღალატზედ მიუთითა მას. ვიმეორებ, მებრძოლი ვყოფილვარ საუკეთესო მომავლისათვის არა თუ ჭორების გავრცელებით, არამედ—იარაღით ხელში და დავრჩები ასეთიც და არასოდეს ლაჩარი და მოღალატე კი არა. ჩემს მოქმედებას საჩხერეში მე მივანდობ მსჯავრის დასადებათ ისეთ პირებს, რომლებსაც უნახავთ ბრძოლის ველი და ცოტათი მაინც შეუგნიათ მისი მნიშვნელობა, მხოლოდ მაშინ, როდესაც დასრულდება საჩხერის ოპერაციები. ჯერჯერობით კი იმ პირებმა, ვინც ბოროტათ მოიხმარეს ჩემი გულ-წრფელი მოქმედება და მოღალატის სახელი შემომთავაზეს, ინავარდონ გამარჯვებული ჩემს მოქალაქობრივ თავმოყვარეობაზე, მე პატარა კაცი ვიყავი და პატარავეთვე დავრჩები. იმ დროს, როდესაც მონარქიული რუსეთის მთავრობა ომს აწარმოებდა, მე სამჯერ დავიკოდე, სიკვდილი თვალით მინახავს. ზურგის შექცევა მტრისთვის კი ფიქრათაც არ მომსვლია, რისთვისაც გმირობის ნიშნები მაქვს მიღებული და ეხლა, როდესაც მე მთელი ჩემი არსებით და შეგნებით ვიცოდი და ვიცი თუ რა ბრძოლას ვაწარმოებთ ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია—გაქცევა და ღალატი? ყველაფერი ითქმის..

შტაბს კაპიტანი გაჩეჩილაძე.

ქ. ყვირილა, 13 ივლისი.

ცნობები

ჯარისკაცი კალისტრატე გურული მსახურებდა 12 ჰუსარის ახტირის პოლკში. 8 თვის წინეთ ის ამხანაგების გადმოცემით იწვა ადესის ერთ-ერთ ლაზარეთში. მას შერე მის შესახებ არაფერი ვიცით. ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვინც რაიმე იცოდეს მის შესახებ შეგვატყობინოს შემდეგის მისამართით: ჭიათურაში ხაზინა, შალვა გურულს

დაკარგე 22 ივლისს სად თფილისში წლიური „პასპორტი“ ლევან ივანეს ძე შაყულაშვილის სახელზე, კახ. რკ. გზის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი, სოც.-დემ. პარტიის საწევრო ბილეთი და ფული 210 მან.. მპოვნელს ვთხოვ დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, ნაძალადევი, ზედამხედველ იაშა ანუაშვილს—ლევან შაყულაშვილისათვის. მომტანი მიიღებს საჩუქარს. (1—1)

დაკარგე 24 ივლის გოლოვინ. ქ. თფ. სადგურამდე სხვადასხვა კვიტანციები, ქ. ქუთაისის ლომბარდიდან მოცემული კვიტანცია სხვადასხვა ძვირფასი საქონლისა, შვიდი გასაღები „შკაფისა“ და კამოდისა და ფული 1809 მან. მპოვნელს ვთხოვ კვიტანციები დამიბრუნოს და ფული საჩუქრათ მიიღოს. ჩემი მისამართი: თფილისი—გოგოლის ქ. № 52, გოჯას პარ ბერეჟანს—თეოფილე ბესელიასათვის. (1—1)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

ექიმი ი. გ. ქონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ქირა, ვარდისუბნის ქ. № [illegible]

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიძე
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიკ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

კერძო
მიხეილის სამკურნალო
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი ვ. კლდიაშვილი.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღის 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღის 12—2 საათამდე.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბეზით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია იქ მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი ზ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

გაიხსნა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
ექიმ დონხინისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილით 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

შაბათს, 27 ივლისს, ქურ. „პირველი ნაბიჯის“ ფონდის გასაძლიერებლათ
„ნაძალადევის თეატრში“
გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება—I „ზაიუშში“ (ვოდ. 2 მოქმედებიანი ცაგარლისა)—II „დედის ერთა“ (ვოდ. I მოქმ. ვ. გუნიასი
III წაკითხული იქნება გურული სცენა რ. ჯიბილას მიერ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (1—1)

თფილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება
1 აგვისტოდან ცენტრალურ სახ. უნივერსიტეტთან (მ ხეილის ქ. № 91) იხსნება
კურსები ადგილობრივ თვითმართველობაზე
კურსები გაგრძელდება 2—2 ნახ. თვემდე. ფასი კურსებისა 25 მან. მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. ჩაწერა სწარმოებს ცენტრალურ სახ. უნივერსიტეტის კანცელარიაში ყოველ დღე 10—2 საათამდე დილით და 6—8 ს. საღ. (3—2)

ქალაქის თვითმართველობა
აუწყებს მოქალაქეებს, რომ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (სალდათთა ბაზარი, ტელეფონი № 39) გაიხსნა სადგური, სადაც სწარმოებს ხოლერის საწინააღმდეგო აცრა უფასოთ 1-ლ საათ. 3 საათ. კვირა-უქმე დღეების გარდა (3—2)

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.